მოსკოვში ვიზიტად მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა ქართული დიასპორის წარმომადგენლებს განუცხადა: მე თქვენი არა მხოლოდ პრეზიდენტი, არამედ მეგობარი ვარ!

შემთხვევა

თეატრის სახურავს ცეცხლმა გადაუარა

რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაჩენილი ხანძრის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ქალაქ თბილისის პროკურატურაში 187-ე მუხლით, სხვისი ქონების დაზიანების მუხლით აღიძვრება.

ამის შესახებ შემთხვევის ადგილზე მისულმა ქალაქ თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ჯერჯერობით უნდა გაირკვეს დაუდევრობით გაჩნდა ხანძარი, განზრახმა ქმედებამ გამოიწვია აღნიშნული ინციდენტი, თუ რა გახდა კონკრეტულად რუსთაველის თეატრში ხანძრის გაჩენის ზუსტი მიზეზი.

ხანძრის ლოკალიზებას 15 სახანძრო მანქანა დაახლოებით საათზე მეტ ხანს ცდილობდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა ქალაქ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის აღძვრის შემდეგ დადგინდება ხანძრის გაჩენის მიზეზი.

მისივე თქმით, რუსთაველის თეატრში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და გამოძიება ყველაფრით დაინტერესდება.

რუსთაველის თეატრთან მივიდნენ სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია, ქალაქის მერი ვანო ზოდელავა, საკრებულოს და მერიის რამდენიმე წარმომადგენელი, ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი და სხვა თანამდებობის პირები.

ხანძარი გუშინ დაახლოებით 15 საათზე თეატრს თაბუკაშვილის ქუჩის მხრიდან გაუჩნდა. წინასწარი მონაცემებით, მეხანძრეები რუსთაველის თეატრში გაჩენილ ხანძარს III კატეგორიას მიაკუთვნებენ.

ინტერ-პრესი.

კანონმდებლები

მიიღეს საჭირო კანონები

საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის პირველ ნახევარში კვორუმის არარსებობის გამო საკითხების განხილვა 16 საათისთვის გადაიდო.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ადეიშვილმა რიგგარეშე განხილვისათვის პარლამენტს საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტები გააცნო: „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“; „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“; „საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

იხ. მე-2 გვ.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №35 (4764) ხუთშაბათი, 12 თებერვალი, 2004 წელი. ფასი 50 თეთრი.

დღის თემა

რეზო ჭეიშვილი:

დავიმალოთ იმისათვის, რომ გავერთიანდეთ

გასული წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა უთუოდ იყო გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსის, რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო და ყოფილი იმპერიის, — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის რეზო ჭეიშვილის სამტომეულის გამოსვლა. იგი ქუთაისელმა გამომცემლებმა და „მანდარიას სტამბის“ პოლიგრაფისტებმა ბატონი თემურ შამიაშვილის მხარდაჭერით, დაბადების 70 წლისთავის საიუბილეოდ, საჩუქრად მოუმზადეს საამაყო თანაქალაქელს. ეს არის ჭეშმარიტად საუცხოო გამოცემა დასურათხატებული გოგი წერეთლის მიერ (**სამტომეული იყიდება გამომცემლობა „მერანის“ მაღაზიაში**), რომელშიც შევიდა ბოლო ხანს შექმნილი მხოლოდ „ჭეიასეული“ ბრწყინვალე ნოველები, სამი რომანი და თანამედროვეთა პორტრეტები.

საუბარს „ცისფერი მთებით“ ვიწყებთ. წუხელ ტელევიზორში ვნახე, მართლაც უბერებელი ფილმია-მეთქი.

რეზო ჭეიშვილს კვიმატი ღიმილი უკრთის თვალებში: „პარიზში უჩვენებიათ უდიდეს კინოთეატრში (სახელი არ მახსოვს), ამ რამდენიმე დღის წინათ ელდარ შენგელაიამ გამაგებინა.

საფრანგეთის კინოელიტა უყურებდა თურმე.

იხ. მე-3 გვ.

ვიზიტი

სამეგობროდ გაწვდილ ხელს მოსკოვში მეგობრობისთვის მზადყოფნა ხვდება

ფოტოსააგენტო „საქართველოს თვალი“.

გუშინ, ნაშუადღევს, რუსეთში ვიზიტად მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კრემლში ვლადიმერ პუტინს შეხვდა.

შეხვედრის დაწყებამდე, რომელმაც თითქმის ორ საათს გასტანა, პუტინმა განაცხადა, რომ იგი უსმენდა თავისი ქართველი კოლეგის გამოსვლებს თბილისში, დავოსში, ბრიუსელსა თუ მოსკოვში და მის მიერ გაკეთებულ განცხადებებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის აღორძინების ხელშემწყობი პოზიტიური სიგნალები იგრძნო.

პუტინისთვის მეგობრული ხელის გასაწვდენად ჩასულ სააკაშვილს რუსეთის პრეზიდენტიც მეგობრობას სთავაზობს და, ამასთანავე, სტუმარს შეახსენებს, რომ რუსეთი საქართველოს გაჭირვებისას მუდამ მხარში ედგა.

— ჩვენ მუდამ მზად ვიყავით საქართველოს დასახმარებლად პრაქტიკულად ნებისმიერ საკითხში, — თქვა შეხვედრისას პუტინმა, — იქნებოდა ეს დავალიანების რესტრუქტურიზაცია, თუ, ვთქვათ, ენერგომშენებლობის მიწოდება.

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდეს!

ირბინონ ბიჭებმა ეზოში

ჩემს ქალიშვილს ძაბულის ორი ბიჭი უკვე ჰყავდა. უფალმა ინება და ახლახან თბილისის მე-4 სამშობიარო სახლში მესამეც ბიჭი შეეძინა. ძაბული მადლიერია იქაური სამედიცინო პერსონალის.

უფროსი შვილიშვილები ჩვენთან წამოვიყვანეთ. ერთი 5 წლისაა, მეორე სამის, რა ვქნათ, ძაბულის სამი შვილის მოვლა გაუჭირდება, ვეხმარებით, სიძეც მუშაობს, ეკონომისტია. მალე თავის პატარასთან ერთად დედა-შვილს

ქუთაისში წამოვიყვან, ეზოიანი სახლი მაქვს, ჩემს ქალიშვილს შვილები გვერდით ეყოლება და ჩემი უფროსი შვილიშვილები ეზოში სუფთა ჰაერზე ირბენენ.

ოთარ გენძეხაძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

არჩევნები

ბლოკების რეგისტრაციის ვადამ ერთი კვირით გადაიწია

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 11 თებერვალს მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც 28 მარტის პროპორციული სისტემით პარლამენტის არჩევნების გამართვისათვის საჭირო ტექნიკურ საკითხებზე იმსჯელეს.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მრეწველთა პარტიის წარმომადგენლის ნოდარ ჭყონიას მიერ წამოყენებული წინადადება, რომელიც პოლიტიკური პარტიების ბლოკებად გაერთიანებისა და შემდგომ მათი რეგისტრაციის ვადის 14 თებერვლის ნაცვლად კიდევ ერთი კვირით გადაწევას ითვალისწინებდა.

ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა ბადრი ნიაურმა. მისი თქმით, პოლიტიკურ კონიუნქტურაზე ზრუნვა ცსკ-ის მსჯელობის საგანი არ უნდა იყოს.

გადაწყდა, რომ პოლიტიკური პარტიების, ბლოკებად დარეგისტრირების ვადამ 19 თებერვლამდე გადაიწიოს.

საქინფორმი.

ფიქრი

„აღსდექ, კრულვითა დაღდასმულო!“

არ მიიღოთ, თუ ღმერთი გწამთ, პროლეტარიატის ეს ისტორიული ლოზუნგი ახალი რევოლუციისკენ მოწოდებად!

აქ სხვა აღდგომაზეა ლაპარაკი, აღდგომაზე პირიქით — წარსულისკენ დაბრუნებაზე, რეანიმირებულ საბჭოურობაზე, თანაც, არა ჩვენთან, საქართველოში, არამედ დიდ რუსეთში.

თუ კიდევ უფრო ზუსტად ვიტყვით, ლაპარაკია იმ ფენომენზე, რომელსაც ეჟღრდნობა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის გაუხუნარი რეიტინგი.

და, საერთოდ, ყველა ეჭვი რომ გავფანტო, გაცნობებთ: ასეთია რუსი ანალიტიკოსების აზრი და დასკვნა.

მე არაფერ შუაში ვარ.

ეს მესავალი ჩემთვის პოსტრევოლუციურ სიტუაციაში აუცილებელი სიფრთხილის დასაცავი ფარია — ფხიზლად, მეგობრებო, მტერს არ სძინავს! თითი ტუჩებთან — სსუუ!

იხ. მე-3 გვ.

კადრი

თანალმობა — ქალბატონ ელენეს მუდმივი მოთხოვნილება.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ინფორმაცია

ჩანს, წინამორბედთა ბედს ითვალისწინებენ

ანა ახალკაცმა, რომელსაც ინფრასტრუქტურის მინისტრობა გუშინ შესთავაზეს, თანამდებობაზე უარი განაცხადა. მისი თქმით, მას ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს. აღნიშნული ორგანიზაცია ამ კონტრაქტის გაწყვეტას არ აპირებს, რის გამოც ანა ახალკაცი იძულებულია, საქართველოს ახალი ხელისუფლების შემოთავაზებაზე უარი თქვას.

გუშინვე სახელმწიფო მინისტრობაზე უარი განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

პარასკევამდეც მივაღწევთ...

სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომელიც ვარაუდობს, რომ პარლამენტი მას პრემიერ-მინისტრად მიმდინარე კვირის პარასკევამდე დაამტკიცებს, საქართველოს პარლამენტს მთავრობის მთლიან შემადგენლობას პარასკევსვე წარუდგენს დასამტკიცებლად.

როგორც ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, პროცედურული თანმიმდევრობით, საქართველოს პრეზიდენტმა ორი სახელმწიფო მინისტრის საკუთარი ბრძანებულებით დანიშვნა უნდა განსაზღვროს, პრემიერ-მინისტრმა კი ორივე სახელმწიფო მინისტრი მთავრობის ერთიან შემადგენლობასთან ერთად უნდა წარუდგინოს პარლამენტს ნდობის მოსაპოვებლად.

პარლამენტის წინაშე მინისტრები საპროგრამო გამოსვლით წარდგებიან.

ჟვანია ვარაუდობს, რომ უახლოეს თვეებში, 2-3 სამინისტროს ლიკვიდაციის საკითხიც დადგება დღის წესრიგში. შესაძლოა, მომავალში გაუქმდეს ენერგეტიკისა და დევნილთა და განსახლების სამინისტროებიც.

უშამათო მორიგი სვლა

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ავსტრიაში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამგზავრება საქართველოს პარლამენტის მიერ მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების ვადებს ემთხვევა.

ბურჯანაძის ვიზიტი ავსტრიაში მომავალ კვირას იგეგმება, სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია კი არ გამორიცხავს, რომ მინისტრთა კაბინეტის დასამტკიცებლად მომავალ კვირას პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევა გახდეს საჭირო.

პარლამენტის თავმჯდომარე კატეგორიულია და აცხადებს, რომ იგი ავსტრიაში ვიზიტის გადადებას არ აპირებს, რადგან აღნიშნული ვიზიტი უკვე სამჯერ გადაიდო.

ყველაფრის მიუხედავად არის ზრდა

დაახლოებით 8,5 მილიარდი ლარი შეადგინა საქართველოს ერთობლივმა შინაგანმა პროდუქტმა გასული წლის მანძილზე, — იუწყება წინასწარ შეფასებებზე დაყრდნობით სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. 2002 წელთან შედარებით იგი 8,6 პროცენტით გაიზარდა. იმავე წელს ერთობლივი შინაგანი პროდუქტი დაახლოებით 7,5 მილიარდ ლარს შეადგენდა.

ჟურნალისტებზე ნადირობა დაიწყო?

ჩრდილოეთ კავკასიაში ამერიკელი ჟურნალისტი ქალი რებეკა სანტანა დაიკარგა, რომელიც საინფორმაციო სააგენტო „კოქს ბიუზის“ წარმომადგენლობაში მუშაობდა.

8 თებერვლის შემდეგ მისი ადგილსამყოფელის შესახებ არაფერია ცნობილი.

ჟურნალისტის გაუჩინარების შესახებ განცხადებით მილიციას გუშინ აშშ საელჩომ მიმართა.

33 წლის რებეკა სანტანა ჩრდილოეთ ოსეთში, მოზდოკის რაიონში დაიკარგა. დაუდასტურებელი მონაცემებით, გუშინწინ ჟურნალისტი გროზნოში ნახეს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

დღის ანეგდოტი

— ოი, უბედურება! ეს რა ხდება! მთელი ფული, მთლიანად, მთელი ფული! რაღა ვქნა? მთელი წლის ხელფასი!

— რა კარგად მესმის თქვენი. მეც გუშინ ამომაცალეს საფულე.

— რა შუაშია ამომაცალეს საფულე?! ხელფასი მომცეს!..

სიტყვის თავისუფლება

ეჭვები, კითხვები და ისევ ეჭვები

ადამიანს რომ აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება აქვს, საანბანო ჭეშმარიტებაა. დემოკრატიის ამ მონაპოვრით ჩვენ ვამაყობდით. მაგრამ მაშინ, როცა დღის შემაჯამებელი საინფორმაციო გადაცემები ერთდროულად დაიხურა, ეჭვები გაჩნდა. მაკვილაკებმა (სიტყვამაწყინრებმა) თუ სკეპტიკოსებმა ხელისუფლება მყისიერად დაადანაშაულეს ცენზორობაში, თუმცა ბატონი მიხეილ სააკაშვილი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ალბათობასაც კი გამორიცხავს. ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ აგორებული ეჭვები ჯერჯერობით არ ქარწყლდება. „ტრადიციონალისტები“ და „სოციალისტები“ მოითხოვენ, რომ საპარლამენტო კომიტეტმა ან სპეციალურმა ინტერფრაქციულმა ჯგუფმა საინფორმაციო გადაცემების დახურვის მიზეზები შეისწავლოს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ოპოზიციური აზრის შესაზღუდავად მედიაზე ზეწოლა ხორციელდება. ხელისუფლება კი გადაცემების დახურვას ტელევიზიების რეფორმას, ახალი პროგრამების შემუშავებას უკავშირებს.

იხ. მე-2 გვ.

ჩვენ და კანონი

სახლებსა და აგარაკებს სიდედრებზე ვეღარავინ გააფორმებს

იხ. მე-8 გვ.

ამინდი დღეს

თბილისი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით -1, დღისით +6
ბათუმი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +3, დღისით +9
სოხუმი	— ღრუბ. ამინდი. წვიმა.	ღამით -1, დღისით +6
ფოთი	— ღრუბლ. ამინდი. წვიმა.	ღამით +1, დღისით +8
ქუთაისი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით -1, დღისით +5
გორი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით -3, დღისით +4
თელავი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით -2, დღისით +5

ლარის კურსი

12 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.8573	ლარი
აშშ დოლარი	1	2.0625	ლარი
ევრო	1	2.6155	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0723	ლარი.

უკანასკნელ საათს

რუსეთის ისტორიის ლიბერალური პერიოდი, რომელიც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო, ამტკიცებს Neue Zurcher Zeitung, იწურება. ინტელიგენცია ამაზე ჩვეულებრივად რეაგირებს: ერთნი ხელისუფლების სამსახურში დგებიან, სხვები კი შინაგანი ემიგრაციისთვის ემზადებიან.

სიცილიის ქალაქი კანეტი დი კარონია პოლტერგეისტმა მოიცვა: ქალაქში თავისით ალდება ელექტროხელსაწყოები — ტოსტერები დაწყებული და ტელევიზორებით დამთავრებული. და ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ქალაქში ელექტრობა გამორთულია. პოლიციელები საგონებელში არიან ჩავარდნილი, მღვდლები კი ამას სატანის ხრიკებად მიიჩნევენ.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ 75 წლის, სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი. პენსიას ვიღებ თვეში 35 ლარის ოდენობით.

გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა დანამატი პენსიაზე წელთა ნამსახურობისათვის?

ვასილ წილოსანი.

— სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს პენსია განესაზღვრებათ თვეში 35 ლარის ოდენობით, რაზედაც რაიმე სახის დანამატის დარიცხვას კანონი არ ითვალისწინებს.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციაში მსხვილი სკანდალი ატყდა. პალესტინის პარლამენტის ერთ-ერთმა დეპუტატმა პრემიერ-მინისტრი ახმედ კურეი დაადანაშაულა იმაში, რომ მისი კომპანია მონაწილეობს იმ „უსაფრთხოების კედლის“ მშენებლობაში, რომლის წინააღმდეგაც იგი ვითომ „ხმამაღლა“ აცხადებს პროტესტს.

პაკისტანთან მოსაზღვრე ავღანეთის ხოსტის პროვინციაში თვითმკვლელმა ტერორისტმა გუშინ თავი აიფეთქა და ავღანეთის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მუჰამედ ისაც იმსხვერპლა.

ლიბანში, პალესტინელთა ბანაკში, მოკლეს რადიკალური ისლამური დაჯგუფებების „ალ-ანსარ ალ-ისმაილიას“ ლიდერის შეიხ გიმაშ შრაიდის ვაჟი მოჰამედ შრაიდი. მამამისი გასული საუკუნის 90-იან წლებში მოკლეს, ხოლო შარშან — ამ ორგანიზაციის დამაარსებლის ძმა აბდალა შრაიდი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

ვიზიტი

სამეგობროდ გაწვდილ ხელს მოსკოვში მეგობრობისთვის მზადყოფნა ხვდება

(პირველი გვერდიდან)

რუსეთს თავადაც ჰქონდა პრობლემები ენერგომომარაგების მხრივ, მაგრამ, როდესაც ენგურჰესზე ავარია მოხდა, ჩვენი რეგიონებისთვის შეზღუდვის დაწესების ხარჯზე გავუზიარდეთ საქართველოს ენერგომომარაგება. შარშან, ასევე, ძალიან ოპერატიულად გავაკეთეთ ყველაფერი გაზსადენზე მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციისა და საქართველოსთვის გაზმომარაგების აღდგენის მიზნით...

საქართველო რუსეთისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია, აღნიშნა პუტინმა და იმედი გამოთქვა, რომ ასეთივე მნიშვნელოვანი პარტნიორია საქართველოსთვის რუსეთი. „საქართველოს საქონელბრუნვის 16 პროცენტი სწორედ რუსეთზე მოდის. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რუსეთ-საქართველოს საქონელბრუნვა 37 პროცენტით გაიზარდა“, — თქვა მან.

ვლადიმერ პუტინმა დაადასტურა, რომ რუსებს საქართველოს და ქართველების მიმართ განსაკუთრებული, თბილი გრძნობები აქვთ. „ჩვენ სულიერ სფეროში და ისტორიაში ბევრი რამ გვაერთიანებს“, — დასძინა რუსეთის პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა მადლობა მოახსენა ვლადიმერ პუტინს გულთბილი მიღებისთვის, იმ სტუმართმოყვარეობისა და სითბოსთვის, რასაც რუსეთში მცხოვრები ქართველები იქ გამუდმებით გრძნობენ. მან იმედი გამოთქვა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობები გაღრმავდება...

პუტინთან შეხვედრამდე მიხეილ სააკაშვილი მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიაში დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა და რუსეთში საქართველოს ახალი ელჩი კოტე კემულარია წარუდგინა, რომლისგანაც მან ძველი შეცდომების გამოსწორება და, რაც მთავარია, ხალხთან ახლო ურთიერთობების დამყარება მოითხოვა. ყველამ უნდა იცოდეთ, — თქვა მან, რომ ჩვენი საელჩო თითოეული თქვენგანის სახლია.

— მე არა მარტო საქართველოს პრეზიდენტი, არამედ ყოველი თქვენგანის მეგობარი და დამცველიც ვარ, — უთხრა ბატონმა მიხეილმა ეკლესიაში შეკრებილებს და აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს საქართველოში მათი დაბრუნებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

გიორგი გამახარია.

კანონმდებლები



მიიღეს საჭირო კანონები

(პირველი გვერდიდან)

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი კანონპროექტი საქართველოს მთავრობის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს. ასევე: მთავრობის მიერ სამინისტროებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების კოორდინაციისა და კონტროლის უფლებამოსილებას, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებასა და წარდგენას, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებასა და საქართველოსათვის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტას. კანონპროექტის მიხედვით, სამინისტროების რაოდენობა სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებისა და დეპარტამენტის მიერთების ხარჯზე შემცირდება, მათი მმართველობის სტატუსი კი გაფართოვდება.

ზურაბ ადეიშვილმა აღნიშნა, რომ ძალოვანი სამინისტროების დებულებები პრეზიდენტის მიერ მთავრობის წარდგინებით დამტკიცდება. ითქვა, რომ ამ ეტაპზე წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება ორ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტში შესწორებების შეტანასთან არის დაკავშირებული: „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს ორგანული კანონის პროექტით „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. მასში გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის სტატუსის დაზუსტება და მისი დანიშვნა პრემიერ-მინისტრის წარდგინების წამძღვარებით პრეზიდენტის მიერ. პარლამენტარები პირველი მოსმენით მუხლობრივად გაეცნენ კანონპროექტს და შესაბამისი კითხვებითა და წინადადებებით მიმართეს ზურაბ ადეიშვილს. კონკრეტული შეკითხვები დაუსვეს სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას.

მოგვიანებით, ვასილ მაღლაფერიძემ წარმოადგინა „კანონი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესახებ“ „ნორმატიული აქტების შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომელიც 134 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღეს.

სამივე მოსმენით დაჩქარებული წესით, კენჭი უყარეს და მიიღეს კანონპროექტი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

რაც შეეხება პროექტს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, ასევე, პირველი მოსმენით 139 ხმით 2-ის წინააღმდეგ მიიღეს. მუხლობრივი განხილვის შემდეგ კი მეორე მოსმენით 142 ხმით ერთის წინააღმდეგ და მესამე მოსმენით 141 ხმით 2-ის წინააღმდეგ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ მიღებული ცვლილებები ხელს შეუწყობს პარლამენტსა და მთავრობას შორის მჭიდრო და კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

პარლამენტის პრესსამსახური.

დედაქალაქი

„მარშრუტკების“ მეცხრე ტალღა ჩაცხრება?



თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა დედაქალაქში სამარშრუტო ხაზების ოპტიმიზაციისათვის მუშაობა დაიწყო. ამ მიზნით მერიაში სპეციალური მუშა ჯგუფიც შეიქმნა.

როგორც „ინტერ-პრესს“ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ოთარ ჭიპაშვილმა განუცხადა, 2 კვირაში ეს ჯგუფი სატენდერო წინადადებებს მოამზადებს, რომლის საფუძველზე დღეისათვის ქალაქში არსებული სამარშრუტო ხაზების შესამცირებლად ტენდერი გამოცხადდება.

ჭიპაშვილის თქმით, ქალაქის ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს რუსთაველის, მელიქიშვილის გამზირებსა და კოსტავას ქუჩაზე სამარშრუტო მიკროავტობუსების მოძრაობა საერთოდ აკრძალოს.

უმუშევრები რომ არ დარჩნენ

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა ამჯერად ბორის პაიჭაძის სახელობის ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორია გაათავისუფლეს დარჩენილი, თვითნებურად მოწყობილი სავაჭრო დახლებისა და გარემოვაჭრეებისაგან. ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლების განცხადებით, ამ ხალხს უმუშევრად დარჩენა არ ემუქრება და რაიონში არსებულ ბაზრებსა და ბაზრობებზე გამოუყოფენ ადგილებს.

კონფლიქტის ზონა

პარტიზანები იარაღს აბარებენ

ქართველ პარტიზანთა მეთაურის დავით შენგელიას თქმით, „ტყის ძმები“ უახლოეს დღეებში განცხადებას გააკეთებენ თვითლიკვიდაციის შე-

სახებ. დავით შენგელიამ, ასევე, განაცხადა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციდანიშნულების რაზმის მიერ 4 თებერვალს ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაციების შემდეგ იგი შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი ბარამიძეს შეხვდა და სწორედ მაშინ შეპირდა „ტყის ძმების“ შეიარაღებაში დარჩენილი არსენალის ჩაბარებას.

აქცია

კეთილშობილი „ლომები“

არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს ლომების კლუბი“ ხვალ ახალგორის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მოინახულებს.

საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაცია „ექსთოვერენიუმენლმა“ ბავშვებისთვის საყოფაცხოვრებო ნივთები შეიძინა, რომელთაც „ლომების კლუბის“ წარმომადგენლები აღსაზრდელებს სურსათთან ერთად დღეს ჩაუტანენ.

თუ ჩვენ არა, არც არავის!

ზუგდიდში, ადგილობრივი მცხოვრებლები და ლტოლვილები მაღალი ძაბვის ხაზების დაზიანებით იმუქრებიან. გუშინ, ადგილობრივ მცხოვრებლებისა და ახალაქიდან დევნილებს ფაიფურის დასახლებასთან მდებარე ელექტროგამანაწილებელი ქვესადგური გუშინ ბლოკირებული ჰქონდათ.

აქციის მონაწილეებმა ქვესადგურის თანამშრომლები შენობიდან გამოაძევეს და შესვლა აუკრძალეს.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, დღეს 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ, საერთოდ არ მიეწოდებათ, მხოლოდ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დღეს მათ დასახლებაში ელექტროენერგია რამდენიმე საათით ჩაირთო.

აქციის მონაწილეები გრაფიკის დაწესებას მოითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ენგურჰესიდან“ დედაქალაქისკენ მიმავალი მაღალი ძაბვის ხაზების დაზიანებით იმუქრებიან.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

სიტუაცია

...და მაინც ჩამოდიან

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ბათუმის მე-12 რუსეთის სამხედრო ბაზას რუსეთის სამხედრო უწყების სპეცკონტინგენტის სამხედრო მოსამსახურეებით აკომპლექტებს, პარალელურად ბათუმის კერძო სასტუმროებში კავკასიური გარეგნობის სპორტული მონაცემების მამაკაცთა რიცხვი მატულობს.

დაზუსტებული მონაცემებით, რუსეთიდან ბათუმში ჩამოყვანილი სამხედროები, რომლებიც ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზაზე მომსახურე რუსეთის მოქალაქეობის მქონე, ეროვნებით ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს ჩაენაცვლნენ, ბათუმში ჩამოსვლამდე, რუსეთის ტერიტორიაზე დახურულ სამხედრო ბაზებზე მსახურობდნენ. რუსეთიდან, ბათუმში კვირის ბოლომდე 600-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს ელიან.

თბილისში მოქმედი რუსეთის ამიერკავკასიის სამხედრო დაჯგუფების შტაბი ბათუმის სამხედრო ბაზაზე მიმდინარე პროცესებს „ჩვეულებრივ გეგმიურ როტაციად“ აფასებს და მომხდარში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს.

ბათუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, უკანასკნელ დღეებში, რუსეთიდან ბათუმში ჩამოყვანილი სამხედრო მოსამსახურეები, აჭარაში ჩამოსვლამდე ცნობილ კამსკის ბრიგადაში გადიოდნენ სამსახურს, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით 2000 წელს საქართველოდან პოლიტიკური განცხადებების გამო გაძევებული გენერალი ვიაჩესლავ ბორისოვი ხელმძღვანელობდა.

ინტერ-პრესი.

პარტიებსა და ფრაქციებში

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ბევრი რამ შეცვალა

ნებისმიერი რევოლუციის შემდეგ პოლიტიკურ დაფაზე დომინირებულ მდგომარეობას რევოლუციის მომხდენი იკავებს, სხვა პოლიტიკური ძალები კი პრაქტიკულად იძირებიან. ეს პროცესები გრძელდება მანამ, სანამ ეიფორია არ გადაივლის. ძნელი სათქმელია, საქართველოში რევოლუციურმა ეიფორიამ გადაიარა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოება არაერთგვაროვანია და ერთი პოლიტიკური ძალა ყველას ვერ დააკმაყოფილებს. როგორ განლაგდებიან ფიგურები პოლიტიკური „ჭადრაკის“ დაფაზე პოსტრევოლუციურ პერიოდში? რომელ პარტიებს მიეცემათ პოლიტიკურ ავანსცენაზე ყოფნის საშუალება?

ცხადია, თუ 28 მარტის არჩევნებისგან ერთპარტიული პარლამენტი მივიღეთ, ეს ქვეყნისთვის სავალალო იქნება, რადგან ასეთ შემთხვევაში უკვე თვითონ პარლამენტი ჩავარდება ეიფორიის მდგომარეობაში, რაც პლურალიზმისა და პარლამენტარიზმის განვითარებისთვის პრობლემებს შექმნის. არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური გაერთიანებების შექმნის საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. რევოლუციის შემდეგ იმ პარტიების რეიტინგი, რომლებიც მემარჯვენე იდეოლოგიას ქადაგებდნენ, საგრძნობლად დაეცა. მემარჯვენეობის პოლიტიკური პლატფორმის საფუძველზე მოხდა „ტრადიციონალისტებისა“ და „ედპ“-ს გაერთიანება. თუმცა, ძნელი სათქმელია, შეძლებენ თუ არა ისინი სერიოზულ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბებას. ექსპერტების აზრით, „ედპ“ — „ტრადიციონალისტების“ სერიოზული ხარვეზი იმაში მდგომარეობს, რომ მათი მემარჯვენეობა აკადემიური ხასიათისაა, პარტიის წევრებს შორის კი ბიზნესის წარმომადგენლები არ არიან. ამავე დროს ჩვენში არსებობს ბიზნესმენების ჯგუფებისგან შექმნილი პარტიები „ახალი მემარჯვენეებისა“ და „მრეწველების“ სახით, მაგრამ მათ აკადემიურობა აკლიათ. თუ ისინი გაერთიანდებიან, შეიძლება მხარდამჭერთა ფართო მასებიც შემოიკრიბონ. ამ ბოლო დროს სწორედ მათ გაერთიანებაზე საუბრობენ.

ზურაბ ტყემალაძე, ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერი: „ჩვენი მიზანი მხოლოდ 12-კაციანი ფრაქციის ჩამოყალიბება არ არის. სასურველია, ერთი ძლიერი მემარჯვენე ბლოკი შეიქმნას. თუ ამას მოვახერხებთ, ვფიქრობთ, არჩევნებში მაღალ პროცენტებს მივიღებთ. სწორი არ იქნება მემარჯვენე ძალებმა გაერთიანებები ცალ-ცალკე შექმნან. პოლიტიკაში გარკვეული ამინდის შესაქმნელად ერთიანობაა საჭირო“. ვნახოთ შექმნიან თუ არა ერთიან ამინდს ეს ძალები.

ხშირად ისმება კითხვა, რა ბედი ელის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტულ პარტიას, რომელმაც ელექტორატის დიდი ნაწილი დაკარგა?

ცხადია, ახლა ჩვენში ის კლიმატი არ არის შექმნილი, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმე არსებითი ცვლილება მოხდეს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ, თუ ხელისუფლება სწორ ნაბიჯებს გადადგამს, ოპოზიციაში დარჩენილ პარტიებს მოქმედების არეალს შეუზღუდავს. იმ შემთხვევაში კი, თუ ახალი მთავრობა შეცდომებს დაუშვებს, ეს სვლა პოლიტიკურ ეფექტს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოგვცემს, ამ დროისთვის კი არჩევნები ჩატარებული იქნება და არსებული კლიმატის შეცვლას დროის ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება, თუ, რასაკვირველია, თავად ის ჯგუფი არ დაიშალა, რომელიც ხელისუფლებაში მოვა.

ნაციონალებისა და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ გაერთიანება დროებით გადაიდო. ნაციონალ-დემოკრატების ლიდერები ირწმუნებიან, რომ ახალი დიდი გაერთიანება არ იქნება ახალი მოქალაქეთა კავშირი. სახელმწიფო მინისტრი ამ გაერთიანებას არც რუსულ „ედინსტვოს“ ადარებს. ცნობილია, რომ ახალ პარლამენტში ახალი პარტია ფრაქციებად არ დაიყოფა და უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში ერთ დიდ ფრაქციად ჩამოყალიბდება. ლიდერები, ჯერჯერობით, არც ერთპოლუსიანი პოლიტიკური სპექტრის საშიშროებას ხედავენ და ცალკეული ფაქტების მიუხედავად (კობა დავითაშვილთან დაკავშირებული ინციდენტი), საკუთარი ერთიანობის სიმყარეში ეჭვი არ ეპარებათ.

ოპოზიცია ახალი ხელისუფლების მიმართ უნდობლობას გამოთქვამს. პრეტენზიები საარჩევნო ადმინისტრაციის პარიტეტული პრინციპით დაკომპლექტებას შეეხება. წესით, იდეალური საარჩევნო ადმინისტრაცია პროფესიული ნიშნით უნდა იყოს დაკომპლექტებული, ეს ამ არჩევნებისთვის რეალურად შეუძლებელია, — აცხადებს ხელისუფლება, რომელიც წინა ხელისუფლების დროს, როდესაც ის ოპოზიციაში იყო, მისი პრეტენზიებიც სწორედ ცესკოს დაკომპლექტების წესს შეეხებოდა. მოკლედ, ეს როგორც ჩანს, მუდმივი თემაა და მასზე დავა დიდხანს გაგრძელდება.

მოგეხსენებათ, ოპოზიციამ და სამოქალაქო სექტორის დიდმა ნაწილმა ძალიან მწვავე შეფასება მისცა საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც ორდღიანი ცხარე დებატების შემდეგ პარლამენტში მაინც უპრობლემოდ გავიდა. საინტერესოა, რომ პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებებში საკუთარი იმუნიტეტის შეზღუდვას მხარი არ დაუჭირა. აღნიშნული მუხლი დეპუტატებმა 184 ხმით ერთის წინააღმდეგ ჩააგდეს. ამიტომ ახალ კონსტიტუციაში ძველი კონსტიტუციის ძველი მუხლი დარჩება, რომლის თანახმადაც პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შეიძლება. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც პარლამენტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს. თუ პარლამენტი თანხმობას არ მისცემს, დაკავებული ან დაპატიმრებული დეპუტატი, ასევე, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. მოკლედ, პარლამენტარები საკუთარ იმუნიტეტს ვერც ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ შეელივნენ.

მომდევნო კვირას პარლამენტში შევა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, 2005 წლიდან ქვეყანაში არჩეული მერები და გამგებლები გვეყოლება. კარგი იქნებოდა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ხელისუფლებამ პრესის შესახებ კანონის მიღებაზეც იფიქროს, თორემ გაჩნდა ეჭვი, რომ ხელისუფლება ოპოზიციურ აზრს უფრთხის და მედიას ჩაგრავს. სამი წამყვანი ტელეკომპანიის ერთდროული დახურვა, ძნელია რაიმე მყარი არგუმენტებით გაამართლო. თუმცა, რაღა ოპოზიციური, ხელისუფლებას თურმე დღეს მისი მხარდამჭერი ჟურნალისტებიც აღიზიანებენ, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ეს აზრი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მისამართით მკვეთრად გამოხატა.

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა უამრავი რამ შეცვალა და თან ისე, რომ ბევრმა თავის შეხედულებებსაც გადახედა. რა, არ ხდება ცხოვრებაში ასეთი რამ? შეხედულებების შეცვლას ვერავის ვერ აუკრძალავ. მით უმეტეს ეს პოლიტიკოსებს არ უნდა უკვირდეთ.

პრეზიდენტისათვის მიცემული ხმების 96 პროცენტში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლების ხმებიც არის და თუ ახალი ხელისუფლება დემოკრატიის გზაზე არის შემდგარი, მას ვერანაირი, თუნდაც საუკეთესო კანონები ვერ უშველის, თუ ის თავისავე ამომრჩეველს (თუნდაც გუშინ მის ოპონენტს) უკეთესი მომავლის იმედს ჩაუკლავს.

მზია გელენავა.

დღის შეკითხვა

თანამედროვეობრივმა აღტყინებამ და ბრმა რწმენამ შეიძლება შეაგულიანოს დონ კიხოტი... მაგრამ ქარის წისქვილებთან საბრძოლველად. საქართველო რომ მეოცნებე რაინდი არ არის და არც ექსპერიმენტებისთვის განკუთვნილი ქვეყანა, ეს იცის (უნდა იცოდეს) მთავრობაში მოსასვლელად გამზადებულმა ახალმა, ყმაწვილური შეფერილობის მქონე თაობამ, რომელიც, იმედია, მიღებულ განათლებას დროთა განმავლობაში უშურველად მოახმარს ქვეყანას. ცოდნა კარგია, მაგრამ პრაქტიკა, გამოცდილება? ამასაც ჟამი სჭირდება. აქვს კი ლოდინის დრო საქართველოს?

საკმარისია თუ არა მხოლოდ ცოდნა-განათლება მთავრობაში მოსასვლელად?

ზურაბ კალანდაძე.

ისტორიკოსი:

— საკადრო ცვლილებები აუცილებელი იყო. იქმნება მთავრობის ახალი მოდელი. განათლებული და არაკორუმპირებული თაობის მიმართ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მთავარია, დროულად დაიწყონ რეფორმები, შეასრულონ ხალხისთვის მიცემული დაპირებები.

მირანდა ფალავანდიშვილი.

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი:

— მხოლოდ ცოდნა-განათლება იმ შემთხვევაში იქნება საკმარისი, თუ სახელმწიფოს ძლიერი პრეზიდენტი ეყოლება და სათანადოდ იმუშავებს მთავრობაზე კონტროლის მექანიზმიც. ვერ გვიშველის მხოლოდ უცხოეთში ცხოვრება, ოკეანეს იქით მიღებული განათლება. შენი ქვეყანაც უნდა იცოდე კარგად!

ანა მაღლაკელიძე.

ეკონომისტი:

— მისასალმებელია, როდესაც ახალგაზრდები მოდიან ხელისუფლებაში, მაგრამ დღეს საქართველო ისეთ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებშია, ვფიქრობ, გამოცდილება უფრო გვჭირდება. მთავრობამ კარგად უნდა გაითავისოს პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. მაშინ გამოჩნდება ამ ახალგაზრდების ნიჭიც და გამოცდილების დაუფლების სურვილიც.

თემურ კილასონია.

მშენებელი:

— პირადად ჩემთვის, მხოლოდ ცოდნა არ არის საკმარისი. თუ საქმე არ გიკეთებია, არ ხარ გამოცდილი, მაშინ დიდი დრო გჭირდება რეალობად აქციო ის, რაც იცი. მაინც ვნახოთ, დრო ყველაფრის გამგებელია.

ხატია დავითაშვილი.

ჟურნალისტი:

— მთავრობაში მოსასვლელად მხოლოდ ცოდნა საკმარისი ნამდვილად არ არის, მაგრამ ძველი ნომენკლატურისა და იდეოლოგიის ადამიანები ხომ უნდა წავიდნენ? მათი გამოცდილება წარსულს ჩაბარდა. ახალი ცხოვრება იწყება. თავიდან ყველა ცოდნით იწყებს საქმის კეთებას. გამოცდილება თანდათან მოდის.

ძველ მთავრობას, გამოცდილების მიუხედავად, ფეხი ბევრჯერ დაუცდა.



ჩვენ ვიცით, რომ ყველა ადამიანშია მზე, რომელიც როდესაც აუცილებლად გაანათებს და ვაცდით კიდეც, მაგრამ დრო?.. ვნახოთ, რამდენად დამთბობი აღმოჩნდება იგი ახალი, მცოდნე, განათლებული, მაგრამ გამოუცდელი მთავრობის წევრებისათვის, უპირველესად კი, უცხოეთიდან მოსული მინისტრებისათვის.

რუბრიკას უძღვება

ეთერ საბანაშვილი.

სიტყვის თავისუფლება

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თინა ხიდაშელი კომენტარისგან თავს იკავებს იმ მიზეზით, რომ თავად ტელეკომპანიები არ ჩივიან:

— მე ვერ ვიტყვი, სიტყვის თავისუფლება იზღუდება-მეთქი მაშინ, როცა დახურული გადაცემების წამყვანები ბედნიერად გრძნობენ თავს. ტელეკომპანიებმა უნდა გამოთქვან პროტესტი, თუკი ილახება მათი უფლებები. სახელმწიფო ტელევიზიაზე ადვილია საუბარი, მაგრამ კერძო ტელეკომპანიების შიდა საქმიანობაში ვერ ჩავერევი, მით უფრო, რომ ვიცი, „რუსთავი-2“ რეფორმისთვის დიდი ხანია ემზადებოდა. „მზეზე“ კი ვერაფერს გეტყვით. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე საუბარი მას შემდეგ შეიძლება, როცა მომჩივანი გამოჩნდება.

თინა ხიდაშელისგან განსხვავებით, იურისტი დათო უსუფაშვილი („აირის-საქართველო“) ეჭვობს, რომ საინფორმაციო გადაცემების დახურვა რეორგანიზაციასთან ერთად სხვა ფაქტორებითაც უნდა იყოს გამოწვეული.

— გადაცემები ისეთ დროს შეწყდა, როცა საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით ელოდა მათ — საკონსტიტუციო ცვლილებების პარლამენტში განხილვამდე ორი დღით ადრე. ცვლილებების ტექსტი საყოველთაოდ, საჯაროდ განსახილველად არ გამოქვეყნებულა და საზოგადოებას მათზე ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. შესაბამისად, მოსახლეობა დიდი ინტერესით ელოდა ღამის ანალიტიკურ გადაცემებს, რადგან ეს იყო მომავალი ცხოვრების რეჟიმის განმსაზღვრელი საკონსტიტუციო ცვლილებების გაცნობის გზა. ბუნებრივია, რომ გადაცემების ასეთ დროს შეწყვეტამ უამრავი კითხვა დაბადა.

დათო უსუფაშვილი იმ ადამიანთა რიცხვში აღმოჩნდა, რომლებსაც არ შეეძლოთ, მშვიდად მიეღოთ სიტყვის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვა. ტელეკომპანიების ხელმძღვანე-

ეჭვები, კითხვები და ისევ ეჭვები

ლებსა და ჟურნალისტებთან საუბრისას მან ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე — რატომ დაიხურა გადაცემები საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის წინ? თუმცა, როგორც ვთქვი, მან გაარკვია, რომ რეორგანიზაცია მართლაც მზადდებოდა. ტელეკომპანიები შეთანხმებულები იყვნენ, ღამის საინფორმაციო გადაცემები ერთდროულად დაეხურათ და შეეცვალათ.

— ღამის პირველ საათამდე გაწელილი კამათი სასიამოვნო არ იყო. ჩემი აზრით, ეს საინფორმაციო გადაცემები ნამდვილად საჭიროებდა გარკვეულ ცვლილებებს. მაგრამ, ჯერჯერობით, ვერ დავრწმუნდი იმაში, რომ მღელვარე დებატების დროს გადაცემების დახურვას სხვა სარჩელიც არ ედო. ხომ იცოდნენ, რომ საზოგადოება ამას ტექნიკურ მიზეზებს არ დაუკავშირებდა?

დათო უსუფაშვილს არ მოეპოვება მტკიცებულება, რომლის ძალითაც შეძლებდა, ხელისუფლების წარმომადგენლები მედიაზე ზეწოლაში დაედანაშაულებინა. მაგრამ თავისი და საზოგადოების დიდი ნაწილის ეჭვების გაფანტვისთვის აუცილებლად მიაჩნია, საინფორმაციო გადაცემები დაბრუნდნენ ღამის ეთერში.

— პოლიტიკოსების, ექსპერტებისა თუ სხვათა სჯა-ბაასი პირდაპირ ეთერში სასწრაფოდ უნდა აღდგეს. საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ ნებისმიერ პირს აქვს აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება ცენზურის, მონტაჟის, წინადადებების ამოჭრის გარეშე. ვიმეორებ, რომ აღძრულ კითხვებზე გაცემულმა პასუხმა ვერ დამაკმაყოფილა იმის გამო, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო საკითხებს მოიცავდა.

მითქმა-მოთქმაში სხვადასხვა ვერსია იჩენს თავს. შეიძლება, ერთმა ტელეკომპანიამ ხელისუფლების საამებლად გადაწყვიტა გადაცემის დახურვა და შეთანხმების გამო მეორესაც მოუწია იმავე ნაბიჯის გადადგმა. შეიძლება, მითითება მართლაც ხელისუფლებიდან მოდიოდა. გამორიცხული არ არის, არცერთი მათგანი შეესაბამებოდეს სიმართლეს. დათო უსუფაშვილი უერთდება ამ მტკივნეული საკითხის საპარლამენტო კომიტეტის მიერ შესწავლის ინიციატივას.

— პარლამენტი უნდა იდგეს სიტყვის თავისუფლების სადარაჯოზე. ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილი ის პოლიტიკოსი არ არის, ვისაც შეიძლება მედიის უფლებების შელახვა სასიკეთოდ მიაჩნდეს. თავად მისი წარმატებაც სიტყვის თავისუფლებამ განაპირობა და თუ ეს რაიმე სახით იზღუდებოდა, ბატონი მიხეილის პოპულარობას ზრდიდა. მსხვერპლი საზოგადოების თანაგრძნობას იწვევს. პრეზიდენტმა იცის, რომ სიტყვის თავისუფლებასთან თამაში სახიფათოა. საპარლამენტო კომიტეტმა უნდა შეისწავლოს საკითხი და ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას იმისათვის, რომ მედიაზე ზეწოლის შესახებ ეჭვები არასდროს გაჩნდეს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გამოთქვა თავისი მოსაზრება ნატო ონიანის გადაცემის შესახებ. მისი თქმით, „ტაიმ-აუტი“ დასახური იყო, რადგან მყარი პოზიცია არ გააჩნდა. დათო უსუფაშვილი მეტ თავდაჭერილობას ითხოვს ქალბატონი ნინოს რანგის პოლიტიკოსებისაგან.

— ჩვენ შეგვიძლია, თავისუფლად ვიმსჯელოთ რომელიმე გადაცემასა თუ გაზეთზე და რადიკალური შეხედულებები გამოვთქვათ. მაგრამ იმ პირებმა, რომელთა სიტყვასაც პოლიტიკური წონა აქვს, ამგვარი განცხადებისგან თავი უნდა შეიკავონ, რათა ბარიერები ან, პირიქით, „სათბურები“ (შექების შემთხვევაში) არ შექმნან.

ეჭვები, როგორც ითქვა, ეჭვებად რჩება.

ბინდისფერია სოფელი!...

რუსუდან გახარია.

მკითხველი — შეწუხებული, ბიუროკრატები — გალაღებული

პასუხის ღირსადაც არ თვლიან!

მიუხედავად ქალაქის მერის ვანო ზოდელავას განკარგულებისა, პასუხის მიცემას მიუტევებლად აჭიანურებენ მერიის კანცელარიის თანამშრომლები. „სრ“ რედაქციამ გაარკვია, რომ რიგ შემთხვევაში ეს ასეა.

გია აბესაძის ჩიხის №3-ში მცხოვრებმა იზოლდა ზუროშვილმა მიწისძვრით ბინის დაზიანების შესახებ ქალაქის მერიაში განცხადება შეიტანა 2002 წელსვე, მაგრამ პასუხსაც არ აღირსებენ. ამა წლის იანვარში მან პირადად მიმართა ვანო ზოდელავას, რომელიც დაპირდა, რომ უახლოეს ხანში მოძებნის მიიღებდნენ. მიწისძვრით დაზარალებულ მოქალაქეს აგერ, სამი კვირაა, მერიის კანცელარიიდან (ტელ. 93-38-92) სისტემატურად უპასუხებენ: „ათ წუთში დარეკეთ“, „კომპიუტერი დაგვიზიანდა“, „განცხადება ვერ ვიპოვეთ“, და ასე დაუსრულებლად.

როდემდე გაგრძელდება ასე? — კითხულობს შეწუხებული იზოლდა ზუროშვილი.

ფიქრი

(პირველი გვერდიდან)

მტერს ყველა თავისებურად ებრძვის, საკუთარი სტრატეგიითა და ტაქტიკით: „ბედნიერება ყოველთვის იმათ მხარეზეა, ვისაც ყველაზე დიდი ბატალიონები ჰყავს“. ეს ნაპოლეონ ბონაპარტეს პრინციპია.

რომელი „დიდი ბატალიონების“ ძლიერებას ეყრდნობა ვლადიმერ პუტინი, დემოკრატიული რუსეთის ეს ყველაზე რეიტინგული ლიდერი?

რომლისა და — ელექტორალური ბატალიონებისას, ამომრჩეველთა მწყობრ ფალანგებს, რომლებიც მისია და სხვა არავისი.

რა არის აქ გასაკვირი?

არც არაფერი: რუსეთი ყოველთვის იყო ცარისტული, ანუ იყო ძლიერი ხელის შემყურე და მისი მორჩილი.

გასაკვირი არ არის იქამდე, სანამ ამ „შეიარაღებული ძალების“ შემადგენელ ელემენტებს არ შევეხებით. მაგრამ როგორც კი ანალიზს შევუდგებით, დაუყოვნებლივ გამოიკვეთება მათ შორის უმთავრესი, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, არის საბჭოთა ადამიანი, ზოგადად — საბჭოურობა.

დიახ, — საბჭოურობა და არავითარი მისტიფიკაცია.

და აქ იწყება... თავდავიწყება — არა, მაგრამ გაოცება — კი.

თუმცა — დროებით, სანამ რუსი პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების არგუმენტაციას არ გავეცნობით.

რუსები კი ასე მსჯელობენ:

ქვეყნის „მასობრივმა ადამიანმა“ („სოვოკ“, როგორც დამცინავად უწოდებდნენ) გორბაჩოვისა და შემდგომ (განსაკუთრებით) ელცინის პერიოდში პოლიტიკურ კონიუნქტურას ხარკი საკუთარი ღირსების დაუზოგავი თვითშეურაცხყოფით გადაუხადა, ნეანდერტალელის მუხლებზე დაეცა, უგონო ცხოველად წარმოიდგინა თავი, გნებავთ, — უენო გერასიმედ. შავი ფერი გადაუსვა საკუთარ წარსულს; ჯვარი დაუსვა ყველაფერს, რაც 90-იან წლებამდე იყო მეცნიერებაში, კულტურაში, აზროვნებაში საერთოდ. როგორც რუსი პოლიტოლოგები შენიშნავენ, „მოქმედების პრინციპად“ გაიხადა ამნეზია, მეხსიერების სრული დაკარგვა.

ან ამ ავადმყოფობის იმიტირებას ახდენდა, ვითარებასთან დამორჩილების ნიშნად.

ასეთი იყო და დარჩება შემგუებლობის უნარი ადამიანისა ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის მიმართ.

«აღსდექ, კრულ ვითა დაღდასმულო!»

შემდეგ, XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე, ამ ადამიანმა ცვლილებათა ტალღიდან ამოყვინთა. ჩაყლაპა დემოკრატიის ჰაერი. ნახა, რომ არავინ ერჩოდა და... გაქრა ამნეზია, თუ მისი იმიტაცია, „მეხსიერება დაუბრუნდა“.

ჰქონდა კი რამ დავიწყებული?

რუსი პოლიტოლოგები საგაზეთო პუბლიცისტიკის ზოგად დასკვნებს სოციოლოგების კონკრეტული მონაცემებით ამაგრებენ. სოციოლოგია კი 1989, 1994, 1999 და 2003 წლებში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ასეთ შედეგებს გვთავაზობს:

1994 წელი. შეკითხვაზე „თქვენ პირადად ბოლო წლებმა დიდი ცვლილებები მოიტანა?“ ამ კითხვას დადებითად უპასუხა გამოკითხულთა 56 პროცენტმა. „არსებითად არაფერი შეცვლილა“, უპასუხა 13 პროცენტმა. „ცოტა ხნის წინათ მეგონა, რომ შეიცვალა ბევრი რამ, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ყველაფერი ძველებურად მიდის“, განაცხადა 16 პროცენტმა.

2003 წელს შესაბამისი პასუხები პროცენტულად ასე განაწილდა: 39, 46 და 10 პროცენტი.

რას ნიშნავს ეს? ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ რუსეთში სულ რაღაც 9 წლის განმავლობაში აღმატებით ხარისხში რეფორმებსა და ცვლილებებზე უკვე აღარ ლაპარაკობენ. წინა პლანზე წამოიწია მერკანტილურმა დამოკიდებულებამ — რა მოგვცა ამ ცვლილებებმა? დაფიქრდა რუსი ობივატელი ამაზე და აღმოაჩინა, რომ — ბევრი არაფერი! დასკვნაც შესაბამისი გააკეთა.

1994 წელი. შეკითხვა „უკეთესი ხომ არ იქნებოდა, რომ ქვეყანაში ყველაფერი ისე დარჩენილიყო, როგორც 1985 წლამდე იყო? პასუხები: 44 პროცენტი — დადებითი; 34 — უარყოფითი; პასუხი ვერ გასცა 22 პროცენტმა.

5 წლის შემდეგ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით გამოკითხულთა უკვე 58 პროცენტმა მოისურვა ძველ დროში დაბრუნება — 1999 წელი დეფოლტის შემდგომი წელიწადია. არ მოისურვა 27 პროცენტმა, 25 — ვერ გაერკვა სიტუაციაში.

2003 წელს იმავე შეკითხვაზე პასუხები ასე განაწილდა — 44, 35 და 21 პროცენტი.

44 პროცენტი მყარ სიდიდედ დამკვიდრდა — საბჭოთა დროში დაბრუნების მსურველი ადამიანების მასივად. რეანიმირებული საბჭოურობა, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმერ პუტინის მყარი ელექტორატის მთავარი მახასიათებელია.

ყველაფერს ამ ქვეყანაზე აქვს საკმარისი საფუძველი, — ასე ამბობდა ლეიბნიცი.

ანუ — დრონი მეფობენ!

აი, ასეთ არაერთგვაროვან, აჭრილი რძის კონსისტენციის მსგავს რუსულ საზოგადოებრივ სივრცეში მიმდინარეობდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში.

მით უფრო მნიშვნელოვანია მისი შედეგები.

არმაზ სანებლიძე.
(რუსეთის პრესის მიხედვით).

დღის თემა

რეზო ჭეიშვილი: დავიმადლოთ [illegible]

[illegible] ისმოდა შემახილ[illegible] — „ქერქიენ მოლიერ[illegible], არც[illegible] ვიცი ვის ეკუთვნოდაო [illegible] — მითხრა [illegible].

— [illegible] ფერი, დიდებას გაიყოფთ... ისე, რა მეხსენება გვინდა, მოლიერი მწერალია... (ისევ ჭეიშვილის კვიმატი ღიმილი)... თქვენი უკანასკნელი წლების პროზა უფრო დოკუმენტურობისკენ იხრება — მოგონებები, ადამიანები...

— წიფობისთვეს სცოდნია, მინდა, რაც შეიძლება, სინამდვილესთან ვიყო ახლოს.

— დღევანდელ ჩვენს სინამდვილეს როგორ უყურებთ? გავიგე, რამდენჯერმე გაუძარცვიხართ...

— იყო ეგ „ბედნიერება“, აგერ — გუშინწინაც... დავაყენე მანქანა ბაზართან, გადაველი, რომ მოვბრუნდი, ცალი საბურავი დაშვებული დამხვდა, სანამ ჩაკუნცხული ვიყავი და ვამოწმებდი, პალტო და მობილური ტელეფონი ამწაპნეს...

— რა გვეშველება?

— დისციპლინა უნდა გამკაცრდეს, და იქნებ ოდნავ რაღაც გვეშველოს.

— მოდით ახლა, ბატონო რეზო, დღეს ასე აქტუალურ — მწერალთა კავშირის დაშლა-არდაშლის პრობლემაზე ვისაუბროთ.

— კი, ბატონო. მწერალთა კავშირის რღვევის, დაყოფის, მწერლების სხვადასხვა მხარეს დგომის პროცესი დღეს და გუშინ არ დაწყებულა, დაყოფა-დაპირისპირება თუ ადრე პოლიტიზირებული იყო (გავიხსენოთ 1992 წელი), ახლა, ამ მომენტში იდეოლოგიური გახდა. რას ნიშნავს ეს? თავად არც ვიცი ზუსტად. მწერალთა კავშირმა, მისმა სტრუქტურამ, მართვის ორგანიზაციამ დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვიდან აღდგენამდე (1917-2004) ე. ი. დღემდე პოლიტიკური ვითარების ცვალებადობასთან დაკავშირებით მრავალჯერ განიცადა ნაწილობრივი ტრანსფორმაცია. იყო სუსხი, შიში, სისხლი, სიტყვის თავი[illegible] — ბოლოს[illegible] წერე[illegible] პრინ[illegible]ციპით და დღეს, რა[illegible] დრე სჭირდებოდათ, ა[illegible] ემსახურებოდნენ, მაგრამ იმსახურებდნენ, არ სწამდათ, არ სჯეროდათ, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა. ჭეშმარიტი მწერალი მაინც ახერხებდა არსებულის უარყოფას, ეროვნული მრწამსის შეფარვით რეალიზებას, საკაცობრიო იდეალების მსახურებას. ეს მას — მწერალს სიცოცხლის ფასად უჯდებოდა ზოგჯერ, მაგრამ ის მაინც გულში იძახდა, ბრუნავსო. ხელისუფლება აერთიანებდა. იოლად რომ ემართა, მისი იდეოლოგიის წნეხის ქვეშ რომ ჰყოლოდა, მწერლები ერთიანდებოდნენ იდეოლოგიური, ამქრული, ჟანრული, პოლიტიკური, ხანდახან მაშუღარი ძაღლების პრინციპით და მაშინ მთავრობას ეშინოდა მათი, მკითხველის, ხალხის, ერის სიყვარული და პატივისცემა მატულობდა. ახლა დაშლის, ვითომ გაერთიანების, სინამდვილეში დაშლის, დანაწევრების, ქვების აბოჭვის თუ წიწილების დათვლის ჟამი დადგა. სოციალურ-პოლიტიკური ფონის დუღილმა პატივმოყვარეობის აღზევება გამოიწვია. რაც არიო, მით უმეტეს, რაც იყოო, იმან მოჭამაო წუთისოფელიო. სწორია, ასეა ერთი შეხედვით, რეალურადაც. მწერალთა კავშირის არსებული ადმინისტრაციული სტრუქტურა, თუკი ასეთი არსებობდა და არსებობს, მრავალ ნაკლს, ახალ სი[illegible]ტუაციებთან შეუთავსე[illegible] [illegible] შეიცავდა, მაგრამ ახალმა დრომ ახლა აილო სტარტი და ძველს, რომელიც დაინგრა, ჩვენი „სტრუქტურაც“ მშვენივრად შეესაბამებოდა, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ საპირისპირო დაჯგუფებების, ალტერნატიული კავშირების, ფრაქციების, ბოლოს ფედერაციით აღმოცენება, ტელეარხების ხმაშეწყობილი აკომპანიმენტების ხმაური რომ უძღოდა წინ, პირადი ანგარიშსწორების, ამბიციების, ზოგიერთთა „ენერგოდეფიციტის“ კომპენსაციის სურვილის, უჩვენოთ ვით იმღერეთას შედეგია და არა მწერლობის განვითარების(?), აღორძინების(?) მიზანი ან სიყვარული. რიგითი მწერალი, განსაკუთრებით ის, ვისაც სხვა სამსახური, სხვა პროფესია არა აქვს არსებობისთვის იბრძვის. მწერალს ჰონორარი, საარსებო პირობების გაუმჯობესება სჭირდება და არა მწერლობის განვითარების მაგისტრალურ გზებზე ლაილაი. მწერალთა ხელმძღვანელის დიქტატზე გაუთავებელი ლაპარაკი დემაგოგიაა და ბლეფი. რაც შეეხება რეფორმას, რეფორმებს, იგი საჭირო კი არა, — აუცილებელია და, რასაკვირველია, დაგვიანებულიც. ფრაქციების, ასოციაციების ჩამოყალიბება არახალია, ძველია, დღეს და გუშინ არ დაწყებულა. ფედერაციულ საწყისებზე შეიქმნა სწორედ დღემდე არსებული მწერალთა კავშირი და დარჩა ასეთად, რეგიონების, სწორედ ასოციაციებისა და გაერთიანების ხარჯზე. ახალი ფედერაციის დაარსებაც მისასალმებელია, იგი, იმედია, შევა ტრადიციულ კავშირში თუ არადა, დარჩება კავშირს გარეთ, რაც სრულ შესაბამისობაში მოვა შემოქმედებითი კავშირების არსებულ, დამტკიცებულ წესდებასთან.

იხ. მე-7 გვ.

სიკვდილით ემუქრებიან

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული კონსერვატორების“ წარმომადგენელს გიორგი ტაბიძეს სიკვდილით ემუქრებიან.

როგორც გუშინ გიორგი ტაბიძემ განაცხადა, მასთან დაირეკა სატელეფონო ზარი და ანონიმური პირი ფიზიკური ლიკვიდაციით დაემუქრა.

როგორც გიორგი ტაბიძემ განაცხადა, იგი დარწმუნებულია, რომ ეს მუქარა უკავშირდება სარევიზიო კომისიის იმ მასალებს, რომლებიც მან რამდენიმე დღის წინათ გენერალურ პროკურატურას გადასცა.

„ეჭვი არავისზე არა მაქვს, მაგრამ ვისზეც გავალთ და გავარკვევთ, თუ ვინ არის ამ ზარის ავტორი და საიდან მოდის იგი, ძალიან ცუდად დაუმთავრდება საქმე“, — აცხადებს ტაბიძე.

გასულ კვირას, გიორგი ტაბიძემ გენერალურ პროკურატურას გადასცა მასალები, რომლებიც თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ არის მოპოვებული და რომლის 200 ტომი 12 საქალაქო სამსახურში არსებულ კორუფციასა და კანონდარღვევებს უკავშირდება.

სამართალი მოდის!

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო დღეს საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით დაკავებული ჩეჩნების საქმის განხილვას იწყებს. აღნიშნულ პირებს 2002 წლის ოქტომბერში №5 საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ედებათ ბრალად.

ასლანბეგ ხანჩუკაევი, ახმედ მაგომედოვი, ხამზატ ისაევი, ასლან ალიევი და გიორგი კუშტანაშვილი იმ 13 პირს შორის იყვნენ, რომლებიც საზღვრის უკანონო გადმოკვეთისა და იარაღის უკანონო შენახვა-ტარება-გადმოტანის ბრალდებებით 2002 წლის 4 აგვისტოს დააკავეს. მათ მოგვიანებით კიდევ ერთი ბრალდება — №5 საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევაც წაუყენეს.

ნუ გარისკავთ, მძღოლებო!

ზვავსაშიშროების, დიდთოვლობისა და ქარბუქის გამო, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ავტოტრანსპორტის მოძრაობა ზოგან შეფერხებულია, ზოგან კი საერთოდ აკრძალულია.

როგორც „ინტერ-პრესს“ საგზაო დეპარტამენტში განუცხადეს, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე, ზვავსაშიშროების გამო ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საავტომობილო გზაზე 85-110 კილომეტრზე, ქარბუქის გამო ავტოტრანსპორტის გადაადგილება აკრძალულია, ხოლო მლეთა-გუდაურის, კობი-დარიალის მონაკვეთებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი, „იკარუსისა“ და მასთან გათანაბრებული ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. სხვა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღნიშნულ მონაკვეთზე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით დაიშვება.

ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის ნაქერალას უღელტეხილზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით დაიშვება.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ოსიაური-ხევის მონაკვეთზე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის გომი-საჩხერის მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დაიშვება მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

მთვრალი აფხაზები სროლით ერთობიან

ბუშინ დილით, ხუთი წუთის განმავლობაში ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონისა და გალის რაიონის სოფელ თაგილონის მოსაზღვრე ტერიტორიაზე სროლა ისმოდა. გავრცელებული ინფორმაციით, სროლები აფხაზური მხრიდან ყუმბარმტყორცნებითა და ტყვიამფრქვევებით განხორციელდა.

როგორც „ინტერ-პრესს“ გალის მილიციის უფროსმა ჯემალ გოგოხიამ განუცხადა, ვოლმერ ბუთბას ცნობილი დაჯგუფების წევრები მთვრალები მივიდნენ აფხაზურ საბაჟო პუნქტთან, რომელიც სოფელ თაგილონში მდებარეობს, შემდეგ სამი მსუბუქი ავტომანქანით გავიდნენ მდინარე ენგურის ნაპირას და უმისამართოდ ისროდნენ ზუგდიდის რაიონის მიმართულებით.

„სროლას რამე ზიანი ან მსხვერპლი არ მოჰყოლია,“ — აცხადებს ჯემალ გოგოხია.

ამასაც ხომ მოფიქრება უნდა!

დანაშაულში ამხილეს გურჯაანის რაიონის აგროფირმა „კაჭრეთის“ დირექტორი ჰოვარდ ბაზერაშვილი, ამავე სოფლის საკრებულოს თავმჯდომარე გივი რამაზაშვილი, გურჯაანის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილე კორძაია და გურჯაანის რაიონის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფროსი გივი სანიშვილი. მათ შეადგინეს და გასცეს ყალბი დოკუმენტები მსესხებლებზე ქონების საკუთრების ფლობის თაობაზე, რის შესაბამისადაც გურჯაანის რაიონის 20-მა მსესხებელმა საქართველოს „აგრობიზნესბანკიდან“ 2002 წელს გამოიტანეს და მიითვისეს 133800 ლარი.

დირექტორმა 42064 ლარი მიითვისა

კახეთის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველომ ამხილა სიღნაღის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრის“ დირექტორი, დაბა წნორში მცხოვრები, 58 წლის ლუიზა ბერიაშვილი. მან ამ ორგანიზაციის სალაროდან 42064 ლარი მიითვისა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: ინტერ-პრესმა და საქინფორმმა.

დისკუსია

ყურადღებით გავეცანით საზოგადოებრივი განხილვისათვის სადისკუსიოდ გამოტანილ ნაციონალური მოძრაობის განათლების ქვეკომისიის ხელმძღვანელის, პროფესორ ბელა გომელაურის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. 2003 წლის 1 დეკემბრიდან 2004 წლის 22 იანვრამდე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს: „ნაციონალური მოძრაობის უმაღლესი განათლების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“. „ნაციონალური მოძრაობა და კერძო სკოლა“ და „ნაციონალური მოძრაობა ქვეყნის მეცნიერების ხარისხის მართვის საკითხებს განიხილავს“.

ქვეყნის მეცნიერების ხარისხის მართვისას აუცილებელია პრინციპულობა

აღნიშნულ წერილებში დასმულია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა დროულ და სწორ გადაჭრაზეა დამოკიდებული საქართველოს უმაღლესი სკოლისა და ქართული მეცნიერების ბედი. თვალყურს ვადევნებთ ფართო დისკუსიას, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩვენი უმაღლესი სკოლისა და მეცნიერების მართვის მეტად მტკივნეულ საკითხებთან დაკავშირებით გაიშალა, ყოველივე ამისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ გაზეთს, რადგან დისკუსია უთუოდ მრავალ, ერთი შეხედვით მიჩქმალულ პრობლემას წარმოაჩენს და აუცილებლად გამოსავალიც მოიძებნება.

მთლიანად ვიზიარებთ ქალბატონ ბელა გომელაურის პოზიციას უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მართვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის კონსტრუქციული გზების შესახებ. აღნიშნულ პუბლიკაციებში იგი მაღალი პროფესიონალიზმით მსჯელობს ჩვენი უმაღლესი სკოლისა და მეცნიერების განვითარების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის ინსტიტუციური და სახელმწიფო სისტემების შექმნა, სტუდენტთა და პროფესორმასწავლებელთა სოციალური დაცვის სისტემების შემუშავება, უმაღლესი განათლების დაფინანსების თანამედროვე (საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი) მოდელის დანერგვა. სრულფასოვანი საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება. თანამედროვე პირობებში ქვეყნის მეცნიერების მართვის ძირითადი პოსტულატები და ა.შ. მიმდინარე დისკუსიის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით გვსურს გაგაცნოთ ჩვენი პოზიცია, საკითხი ეხება საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ შექმნილ ნორმატიულ დოკუმენტს — საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის №316 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების წესის შესახებ“ დებულებასა და ინსტრუქციას. ჩვენი აზრით, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ აუცილებელია გაითვალისწინოს როგორც ქალბატონ ბელა გომელაურის, ასევე დისკუსიაში მონაწილე მათი ოპონენტებისა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთელი ქართული სამეცნიერო საზოგადოების კრიტიკული მოსაზრებები სესხის „დებულებისა“ და „ინსტრუქციის“ მიმართ. ამის გარეშე ქართული მეცნიერება მართლაც გამოუვალ ჩიხში აღმოჩნდება.

ჩვენი აზრით, მეცნიერების მართვის მიზნით გატარებული რეფორმის საერთო მიზანი უნდა იყოს შემდეგი: მოისპოს ყველა ის ხელშემშლელი პირობა, რომელიც მეცნიერების წინსვლას წინ ეღობება, ხოლო ზოგიერთ მაღალი რანგის პროფესიონალს საერთოდ აიძულებს ჩამოსცილდეს მეცნიერებას.

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას ზემოთ ხსენებული „დებულებისა“, „ინსტრუქციის“ მიმართ ასეთია:

პირველი: აღნიშნული „დებულების“ მეხუთე მუხლის მე-5 პუნქტი სამეცნიერო სემინარზე დისერტაციის დაცვამდე განხილვას ითვალისწინებს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ორი ძირითადი რგოლის — კათედრისა (განყოფილებისა, ლაბორატორიისა) და სადისერტაციო საბჭოს გარდა კიდევ მესამე რგოლში (სამეცნიერო სემინარზე) დისერტაციის განხილვა ზედმეტია და მხოლოდ დისერტაციის დაცვას აჭიანურებს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ დისერტაციის განხილვა სამეცნიერო სემინარზე ფორმალურია, იგი პრაქტიკულად ვერ ცვლის კათედრის (განყოფილების, ლაბორატორის) დასკვნას.

მეორე: „ინსტრუქციის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით მეცნიერი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სამეცნიერო საბჭოს წევრი. მიგვაჩნია, რომ ეს პუნქტი ცალკეული სამეცნიერო საბჭოების შემადგენლობას ძალზე „გაალარიბებს“, რადგან შეუძლებელი გახდება სხვა სამეცნიერო დაწესებულებებიდან ცნობილი მეცნიერების მოწვევა. ამ თვალსაზრისით დიდი ხანია ნაყოფიერად თანამშრომლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილი მეცნიერები მიწვეული არიან მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტების სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს წევრებად და პირიქით. სხვა სამეცნიერო დაწესებულებიდან მოწვეული მეცნიერი სადისერტაციო საბჭოს ღირსებას მატებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ამიერიდან კი, გამოჩენილი მეცნიერი სადისერტაციო საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ სამუშაო ადგილის მიხედვით, ან მეორე სამეცნიერო დაწესებულებაში. ასეთ შემთხვევაში ორიდან ერთი სადისერტაციო საბჭო აუცილებლად „დაზარალდება“ და იძულებული გახდება მისთვის სასურველი გამოჩენილი მეცნიერი სხვა ნაკლებად ცნობილი მეცნიერით შეცვალოს.

მესამე: „ინსტრუქციის“ მეოთხე მუხლის მე-5 პუნქტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს შორის 7-წლიანი ინტერვალის დაცვას ითვალისწინებს, ჩვენი აზრით, ეს ინტერვალი 3 წლამდე უნდა შემცირდეს, რადგან დაუშვებელია დისერტაციის დაცვის პროცესში ხელოვნური ბარიერი. ხელოვნური ბარიერით სუსტი სადისერტაციო ნაშრომების დაცვას მაინც ვერ შევაფერხებთ, ხოლო განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულებს გზას გადავუღობავთ.

მეოთხე: „ინსტრუქციის“ მეოთხე მუხლის მე-14 პუნქტი სადისერტაციო საბჭოს მიერ „ექსპერტის“ ან „საექსპერტო კომისიის“ დანიშვნას ითვალისწინებს. ჩვენი აზრით, სავსებით საკმარისია ერთი ექსპერტი, რადგან საექსპერტო კომისიის დანიშვნის შემთხვევაში, პრაქტიკულად მთელ სამუშაოს მაინც ერთი ექსპერტი ასრულებს.

მეხუთე: „ინსტრუქცია“ და „დებულება“ ხშირ შემთხვევაში ჩვენი სინამდვილისათვის სრულიად შეუსაბამო მოთხოვნებს აყენებს, რაც დისერტაციის დაცვის პროცესს ხელოვნურად აფერხებს. ამის შედეგია ის, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით 2000 წელს ასპირანტურის 584 კურსდამთავრებულთაგან დისერტაციის დაცვა მხოლოდ 11-მა შესძლო, 2001 წელს — 435-დან 11-მა, 2002 წელს — 602-დან 27-მა.

ცხადია, ყოველივე ამაში სესხის „დებულებისა“ და „ინსტრუქციის“ წვლილიცაა. ამიტომ უნდა გაუქმდეს „ინსტრუქციის“ პირველი მუხლის მე-6 პუნქტით და მეორე მუხლის პირველი „გ“ პუნქტით გათვალისწინებული „იმპაქტ-ფაქტორი“, როგორც სამეცნიერო საბჭოს წევრებისათვის, ისე დისერტანტებისათვის. სავსებით ვიზიარებთ ქალბატონ ბელა გომელაურისა და ბატონ ლადო პაპავას მოსაზრებებს, იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს საქართველოში, „იმპაქტ-ფაქტორით“ გამოწვეული დაბრკოლების გადალახვა თვით სოლიდური მეცნიერული ღირებულების მქონე ნაშრომთა ავტორებისთვისაც კი თითქმის შეუძლებელია. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს საკითხი უნდა დაისვას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საქართველოსაც ოფიციალურად გამოქვეყნებული ექნება თავისი „იმპაქტ-ფაქტორის“ კატეგორიის ჟურნალების ჩამონათვალი. მანამდე კი „იმპაქტ-ფაქტორი“ თავისი ხასიათით ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივია.

ისიც უნდა ითქვას, რომ სუსტი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თავიდან აცილება მხოლოდ „დებულებითა“ და „ინსტრუქციით“ შეუძლებელია. ცხადია, ნორმატიული აქტები მაქსიმალურად უნდა ზღუდავდეს სუსტი ნაშრომის საჯარო პაექრობაზე გატანასა და მის დაცვას, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საკითხის მეორე მხარეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სუსტი სადისერტაციო ნაშრომის ავტორს დაცვის სურვილი წაერთვას. ამისათვის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და ასპირანტურაში შესაბამისი ფსიქოლოგიური ატმოსფერო უნდა შეიქმნას. როცა ულირსი ხვდება ასპირანტურაში, მას იმედიც უჩნდება, რომ სუსტ ნაშრომშიც მიიღებს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, ხოლო თუ ეს შეძლო, შემდეგ სადოქტორო დისერტაციის დაცვაც შესაძლებლად ეჩვენება და ხშირად არც ისე უსაფუძვლოდ. ამის სანაცვლოდ ჩვენ ხშირად მაშინ, როცა იგი დაგვიანებული და ნაკლებად ეფექტურია, პრინციპულობას ვიჩენთ.

მერაბ ვაჩნაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ვახტანგ გურული,
თსუ ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ბრიფინგი

კეთილი დამოკიდებულება ფულით არ იზომება...

მაგრამ ფული მაინც სჭირდებათ

10 თებერვლის ნომერში რუბრიკით „ამბობენ, მართალია“? ვიუწყებოდით, რომ აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი დაუფინანსებლობის გამო შეიძლება დაიხუროსო.

ამ პრობლემაზე ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა — აღმასრულებელმა დირექტორმა დავით ბანცაძემ, ფინანსურმა დირექტორმა ოთარ ხუფენიამ და სამედიცინო დირექტორმა გელა არაბიძემ გამართეს ბრიფინგი.

თითქმის ყველა სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია ამ ცენტრში ხდება. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება უფასოა, უფასოდ ემსახურებიან მშობიარეებს, გართულებულ მშობიარეებს და ახალშობილებს, მუშაობს უმწეოთა პროგრამა და სხვა. პარალელურად მუშაობს თანაგადახდის პრინციპი (მკურნალობის 75 პროცენტს იხდის სახელმწიფო, 25-ს პაციენტი), არის ფასიანი მომსახურებაც.

როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, ცენტრი 7 თვეა ფუნქციონირებს და ამ ხნის განმავლობაში 3076 პაციენტმა იმკურნალა,. ამბულატორიას მიმართა 7927-მა პაციენტმა, არიან მეორადი პაციენტებიც, 6 თვის განმავლობაში დიაგნოსტიკისა და პოლიკლინიკის სამსახურში შესრულდა 40 ათასამდე გამოკვლევა. კატასტროფისა და გადაუდებელი მედიცინის სამსახურის ანგარიშზეა 3200 გამოძახება. 136 მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტი სხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან რეანიმაციის განყოფილებაში გადმოიყვანეს.

ცენტრის ფინანსური მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა: დღეისათვის დავალიანება 467 ათას ლარს შეადგენს, იანვრის თვისა — ნახევარ მილიონ ლარს. გაუცემელია 3 თვის ხელფასი. ამასთან, სამკურნალწამლო საშუალებების დიდ დეფიციტს განიცდიან.

— თუ ასე გაგრძელდება, ცენტრის მედპერსონალის ძალისხმევის მიუხედავად, შეიძლება მომსახურების ხარისხი გაუარესდეს, თქვა დავით ბანცაძემ.

ოთარ ხუფენიას თქმით კი, ცენტრში ღირებულება, მკურნალობის ხარისხიდან გამომდინარე, უფრო მაღალია, ხოლო სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული ღირებულება კი, ნურავინ მიწყენს და, დაბალი დონის კლინიკაზეა გათვლილი. ერთის მხრივ, ცენტრის მიზანი და დანიშნულება მაღალი ხარისხის მომსახურებაა, რაც მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პირობაა და, მეორე მხრივ, არასრული და არადროული დაფინანსების პირობებში ამ სამუშაოების შესრულება კლინიკისთვის წამგებიანია.

ღუდუშაურის სახელობის ცენტრი.

ყოველთვიურად მსოფლიო ბანკისა და იაპონიის მთავრობის ექსპერტები მკაცრად ამოწმებენ დახარჯულ თანხას, იმასაც, თუ როგორი დატვირთვით მუშაობს აპარატურა, როგორ ემსახურებიან ავადმყოფებს და ყოველთვის კმაყოფილებას გამოთქვამენ.

ბატონ ოთარ ხუფენიას თქმით, ამას დაემთხვა ერთი ობიექტური გარემოებაც: გასაგები მიზეზების გამო ქვეყანას ჯერჯერობით არ გააჩნია 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. აქედან გამომდინარე, კლინიკისადმი ხელისუფლების კეთილი დამოკიდებულების მიუხედავად ლეგალური ფინანსური წყაროს, ანუ ბიუჯეტის მიუღებლობა ხელს უშლის ამ დამოკიდებულების ფინანსურ რეალიზებას.

ბელა ღურგლიშვილი.

სხვა გაზეთებიდან

305 თვეძრებდა, რომ 20 წელზე შეგი ხნის განცდის შემდეგ ფოკოსურნალი, რომელზეც ავტებდილია რამის ჩსაკვირა შესაძლო რიდება, სამსიათენი გამგეშიდან? ალესაფერ კარის, რომელიც შეშსპარის შეფეს უსერიოზ ხელთ, დღეგანწილად საქართველოში ყველაზე ერთნაწილიანები ალიქვამს.

ასოციაციის ბბაფეზი კიდევ ამის გამო, „ეკონეკის რეკორდების“ დღეკეში შსახლობი ალგიკურად შიანშეფილი ქვეყნებისგან, ბანძეფილ ერეკნალებას ინგერთეზე „რეკორდულიორენტების“ მიერ სულ ცოტა ხნის წინათ დაკვეთილ პარლამენტის შერჩიაში. პოდა, ბაგონი რამშიას პიროვნებისახები ჟურნალისტთა გამლიდებულმა ინგერენტის ბიზნესის გამოწერით კიდევ ხნით ქვეყნებულ ბუნჩა. მოსკოვის ჟურნალის „ოგონიოკის“ ხასწრაფივად გამოქვეყნებს სტატიათა რეკორდულ ჩერიანგებულის შეშლეც რამიას შსაკვირის სპეციალურიები ფოტო ჟურნალისტება მიქმიტეშით შეკიდნა, სპეციალიტით, რომლის მარც გვენიან ალექსანდრეზე შემოსულებში, აქაც ზუნი შსახოსის გარდაცვალების შესახებ ძლეთ გამეიდებული ტიხიდა.

„ოგონიოკის“ დაკეშმარეზით ამ კიდების შესახებ შსახოსის არაფერი იცოდა, ასტიობდეს ის უმსკეიდენ ამ ამბავს. და როგორც იყო მისი რეაქცია, როდა სპეშის დროს გაიგებინეს ეს პისუნდა გაისმა პოპულარული ეკრანის ვარსკვლავის სახრსიან „ეს ხომ შესანშობელი თუ ცუდი რამეს ცოცხალ ადამიანზე გაიგებინეს...

– პატრონ რამპან, თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ ყველაზე პოლიციელი, მხედრის არსაბროს არ ეწერეთ მასში. ახლა რა მოხდა?

– მე არ ვარ პოლიციელის და არ მიყვარს პოლიციელების ღრმად შეკითხვა. მაგრამ ის, რაც მასში ხდება, მე მაინტერესებს. ყველა მჩვი რნალი პოლიციელებზეა. ფილმი, პიესა, ლეგენდა ერთნაირია. ყველა ერთნაირად ერთნაირია. ყველა ერთნაირად ერთნაირია. ყველა ერთნაირად

ახალი მძლავრი აფეთქება ერაყში

ბაღდადში აფეთქდა ავტომობილში დადებული დიდი ბომბი. მძლავრი აფეთქება – უკვე მეორე ბოლო დღე-ღამის განმავლობაში მოხდა ერაყის ახალ არმიაში მოხალისეების გასაწვევი ცენტრის მახლობლად.

ამერიკელთა სარდლობა აცხადებს, რომ აფეთქებას 36 კაცი შეეწირა.

როგორც შემთხვევის ადგილზე აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის პოლკოვნიკმა რალფ ბეიკერმა, ეს ტერორისტული აქტი მხოლოდ ერაყელების წინააღმდეგ იყო გამიზნული. იგი განახორციელა მანქანაში მყოფმა აფეთქებელმა-კამიკაძემ. ავტომობილში, სავარაუდოდ, დადებული იყო დაახლოებით 200 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება, დასძინა პოლკოვნიკმა.

თითქმის ასეთივე ტერორისტული აქტი განხორციელდა სამშაბათს დილით ქალაქ ისქანდარიაში. იქ ასაფეთქებელი მოწყობილობა დადებული იყო პოლიციის უბანთან გაჩერებულ ავტომობილში. აფეთქების შედეგად დაიღუპა 55 კაცი და 150 დაშავდა. დაღუპულთა და დაჭრილთა შორის

იყვნენ მოხალისეები, რომლებიც აპირებდნენ ჩაწერას ერაყის შეიარაღებულ ძალებში.

ამ ბოლო რადენიმე თვის განმავლობაში მსგავსი თავდასხმების შედეგად მოკლულია ამერიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით შექმნილი ერაყის ახალი პოლიციის სამასამდე თანამშრომელი.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, სამშაბათს განხორციელებული ტერორისტული აქტი მარტო კოალიციის მომხრე ერაყელთა ძალების წინააღმდეგ როდი იყო მიმართული. იგი ასევე მიზნად ისახავდა შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირების გაღვივებას.

ამერიკელთა ჯარების წარმომადგენელმა, ბრიგადის გენერალმა მარკ კიმიტმა გამოაქვეყნა ბაღდადში ნაპოვნი დოკუმენტის შინაარსი, რომლიდანაც ჩანს, რომ „ალ-ყაიდას" ქსელს დაგეგმილი აქვს განახორციელოს თავდასხმები შიიტებზე, რათა პროვოკაციული გზით გამოიწვიოს კონფლიქტი შიიტებსა და სუნიტებს შორის.

იაპონიაში მატარებლები საათში 400 კილომეტრ-სიჩქარეს განავითარებენ

იაპონიაში მიიღეს გადაწყვეტილება მსოფლიოში ორი ყველაზე სწრაფი ელექტრომატარებლის შექმნის შესახებ, რომლებიც საათში დაახლოებით 400 კილომეტრ-სიჩქარეს განავითარებენ. მატარებლებს ააგებენ 2005-2006 წლებში და, სერიული გამოცდების შემდეგ, 2013 წელს ისინი დაიწყებენ მოძრაობას კუნძულ ჰონსიუსზე რეგულარული მარშრუტებით. ეს ტოკიოში განაცხადეს „j-R Fast" სარკინიგზო კომპანიის წარმომადგენლებმა.

ეს ჩქაროსნული მატარებლები 6-8 ვაგონისგან შედგებიან. მარშრუტზე მათი მოძრაობის საშუალო სიჩქარე საათში 360 კილომეტრი იქნება, რაც გაცილებით აღემატება ამჟამად მოქმედი ნებისმიერი სარკინიგზო შემადგენლობის მოძრაობის სიჩქარეს.

ამავე დროს, „j-R Tokay" კომპანიამ ახლა ძირითადი ყურადღება გაამახვილა მაგნიტურბალიშიანი პრინციპულად ახალი სამგზავრო მატარებლის დანერგვაზე. დეკემბერში გამართული მორიგი გამოცდის დროს, ამ მატარებელმა საათში 581 კილომეტრი სიჩქარე განავითარა.

ირანში აღნიშნავენ რევოლუციის წლისთავს

ირანში აღნიშნავენ რევოლუციის 25-ე წლისთავს, რომლის შედეგადაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა ამჟამინდელი ისლამური რეჟიმი, ირანის მაშინდელი მმართველი – შაჰი კი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა.

რეჟიმის შეცვლა მოხდა აწ განსვენებული აიათოლა ჰომეინის ხელმძღვანელობით, რომლის გადასახლებიდან დაბრუნებასაც მაშინ მილიონობით თეირანელი სიხარულით შეხვდა. ოთხშაბათს თეირანში გაიმართა დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებსაც მიმართა ქვეყნის პრეზიდენტმა მოჰამედ ხათამიმ.

მაგრამ, როგორც თეირანიდან იტყობინებიან, პრეზიდენტსა და მის მომხრე-რეფორმატორებს ახლა საზეიმო განწყობილება არ უნდა ჰქონდეთ: ისლამური რესპუბლიკა იმყოფება ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ღრმა და მწვავე კრიზისში. სულ ცოტა ხნის წინათ ორი ათასი ლიბერალურად განწყობილი კანდიდატი ჩამოამორეს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას.

მრავალ ირანელს მიაჩნდა, რომ 1997 წლის არჩევნებში რეფორმატორული ძალების მიერ მიღწეული გამარჯვება თავისებური ახალი რევოლუციის სიმბოლო გახდებოდა. ირანელებს იმედი ჰქონდათ, რომ ქვეყანაში დამყარდებოდა სამოქალაქო თავისუფლება, რომელიც მნიშვნელოვნად შეიზღუდა 1970-იანი წლების დამლევს.

თუმცა, ახლა ქვეყნის მოქალაქეებს იმედი გაუცრუვდათ, რადგან მათი აზრით, არანაირი სასიკეთო ცვლილებები არ მომხდარა. კონსერვატიულმა მოღვაწეებმა და სამღვდელოებამ, რომლებმაც მტკიცედ იგდეს ხელთ ხელისუფლება, ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ლიბერალურად განწყობილ პოლიტიკოსებს ვერ მიეღწიათ რაიმე რეალური შედეგებისთვის.

ისრაელის ჯარები ახორციელებენ სპეცოპერაციას ღაზში

ქალაქ ღაზში შეიარაღებული შეტაკებების დროს ისრაელის ჯარებმა მოკლეს 8 პალესტინელი და კიდევ 20 კაცი დაჭრეს. ამას იტყობინება „რეიტერის" სააგენტო, რომელიც იმოწმებს პალესტინელი ექიმების გამონათქვამს. ხუთი დაჭრილის მდგომარეობა ძალზე მძიმეა. მათ შორის არის ისლამური მოძრაობა „ჰამასის" სულიერი ლიდერის შეიხ აჰმედ იასინის პირადი მცველი.

როგორც ისრაელის არმიის წარმომადგენლები იტყობინებიან, ბრძოლები დაიწყო მაშინ, როცა ჯარები შევიდნენ ქალაქში, რათა დაეპატიმრებინათ ექსტრემისტები, რომლებმაც ებრაელთა დასახლებებს ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს. თვითმხილველები აცხადებენ, რომ ჯარისკაცები ტანკებით შეიჭრნენ ქალაქ ღაზის აღმოსავლეთ ნაწილში, რის შემდეგაც დაიწყეს პალესტინელთა სახლების ჩხრეკა.

პალესტინელთა წყაროების თანახმად, შეიარაღებული შეტაკებები მოხდა მაშინ, როცა ისრაელის სპეციალური დანიშნულების ჯარები და ჯავშანტექნიკა დილით ადრე შეიჭრნენ ქალაქ ღაზის აშ-შაჯაიის უბანში. ატყდა სროლა, რომლის დროსაც პალესტინელებმა გამოიყენეს, აგრეთვე, ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები და ასაფეთქებელი მოწყობილობები.

ისრაელის არმიამ ჩხრეკა-დაპატიმრებები განახორციელა, აგრეთვე, ღაზის სექტორის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქ რაფაჰის საცხოვრებელ უბნებში. ისინი ეძებდნენ „ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილ პირებს".

რაფაჰში ისრაელის ჯარების რეიდის შედეგად სამი პალესტინელი დაიჭრა. პალესტინელთა წყაროების მონაცემებით, ისრაელის არმიის სპეცოპერაცია რაფაჰში კვლავ გრძელდება.

წინა დღით კი, პალესტინელთა კონტროლსდაქვემდებარებული ღაზის სექტორის მთელ ტერიტორიაზე ასობით არაბმა მიიღო მონაწილეობა პალესტინის ხელისუფლების მიერ ოთხი ადგილობრივი მცხოვრების დაპატიმრების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო მარშებში. ამ ოთხ ადამიანს, კერძოდ, ბრალად ედება გასული წლის 15 ოქტომბერს ერეზის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ავტომანქანების კოლონის აფეთქების ორგანიზება. როგორც ცნობილია, მაშინ დაიღუპა ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის სამი მცველი.

ჩინეთის პოლიცია ეძებს რადიაქტიური ნივთიერების კონტეინერს

ჩინეთის შენსის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციაში 120-ზე მეტი პოლიციის ოფიცერი და 80-ზე ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელი მონაწილეობს ცეზიუმ-137 რადიაქტიური ნივთიერების გატაცებული პარტიის ძებნაში.

როგორც გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოს" ელექტრონული ვერსია იტყობინებოდა, ეს უაღრესად საშიში რადიაქტიური ნივთიერება დაიკარგა რამდენიმე დღის წინათ შენსის პროვინციის პუჩენის მაზრის ერთ-ერთი სამშენებლო მოედნიდან.

რადიაქტიური ნივთიერების დაკარგვის შემდეგ, რომელიც დაახლოებით ფეხბურთის ბურთის ზომის ლითონის კონტეინერშია მოთავსებული, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეს ნივთიერება ძალზე დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას, იწვევს სისხლის დაავადებებსა და სტერილურობას. გარდა იმისა, რომ ცეზიუმ-137 ჩვეულებრივ გამოიყენება ფოტოელექტრონული ბატარეების წარმოების, აგრეთვე, ლითონების სიმტკიცის ტესტირებისთვის, იგი შეიძლება აფეთქდეს წყალთან შეხებისას.

ინფორმაციაში, აგრეთვე აღნიშნულია, რომ რადიაქტიური ნივთიერების კონტეინერის პოვნის შემთხვევაში, ყოვლად დაუშვებელია მისი გახსნა, ამიტომ კონტეინერის მპოვნელმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პოლიციას.

ცეზიუმი ისევე ადვილად ვრცელდება, როგორც, მაგალითად, ტალკი. გარემოსათვის სერიოზული ზიანის მიყენების მიზნით, სულაც არ არის საჭირო ბომბის დამზადება: კონტეინერის უბრალოდ გახსნაც კი საკმარისია საიმისოდ, რომ ადამიანები დაიხოცონ.

ადგილობრივმა სამართალდამცავმა ორგანოებმა, აგრეთვე, გამოაქვეყნეს განცხადება იმის თაობაზე, რომ ის პირი, რომელიც ხელისუფლებას მიაწვდის ინფორმაციას დაკარგული კონტეინერის შესახებ, მიიღებს პრემიას 5 ათასი იუანის ოდენობით (602 ამერიკული დოლარი).

მოკლეს ცნობილი ჟურნალისტი

სამშაბათს ნიკარაგუაში მოკლეს ცნობილი ჟურნალისტი კარლოს ხოსე გუადამუსი. თავდასხმა მოხდა მაშინ, როცა ტელეწამყვანი სტუდიაში აპირებდა შესვლას, სადაც უნდა დაწყებულიყო მორიგი ყოველდღიური პროგრამის გადაცემა.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ ახმაურებენ რაიმე დაწვრილებით დეტალებს.

ჟურნალისტის მკვლელობამ ნიკარაგუის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან მკაცრი პროტესტი გამოიწვია. ჟურნალისტის მკვლელობა დაგმო ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოთა პრესის საზოგადოებამ.

სენატორი კერი სამხრეთ შტატებში იმარჯვებს

დემოკრატმა-სენატორმა ჯონ კერიმ, რომელმაც წამოაყენა თავისი კანდიდატურა მიმდინარე წლის ნოემბრისათვის დანიშნულ პრეზიდენტის არჩევნებზე, გაიმარჯვა ვირჯინიისა და ტენესის შტატებში გამართულ წინასწარ არჩევნებში, ეგრეთ წოდებულ „პრაიმერიზში".

კერის გამარჯვება ამ შტატებში საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ეს მოწმობს იმას, რომ კერი – ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთის მკვიდრი სარგებლობს პოპულარობით ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. წინა არჩევნებში პრეზიდენტობის პოსტის კანდიდატებმა ჩრდილოეთის შტატებიდან ვერ მოიპოვეს ამომრჩეველთა მხარდაჭერა სამხრეთში.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, კერი ახლა ამ „ასპარეზობის" თითქმის უდავო ფავორიტი ხდება. მან მოიპოვა მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების ყველა რეგიონში – აღმოსავლეთში და შუა აღმოსავლეთში, დასავლეთ სანაპიროზე და სამხრეთში. კერის მისცეს ხმები დემოკრატიული პარტიის წევრებმა მენის, მიჩიგანისა და ვაშინგტონის შტატებში.

მისმა ძირითადმა მეტოქემ ჯონ ედვარდსმა ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ გამოსვლაში გამოთქვა ამერიკის სამხრეთ შტატებში გამარჯვების იმედი. „სამხრეთი სულაც არ გახლავთ ბუშის მიწა, ეს ჩემი მიწაა და მე მას იქ დავამარცხებ", – თქვა ედვარდსმა. თუმცა, როგორც მიმოხილველები აღნიშნავენ, ვირჯინიისა და ტენესის შტატებში გამართული წინასწარი კენჭისყრის შედეგები მისთვის მთლად დამაიმედებელი არ უნდა იყოს. ახლა გამოთქვამენ ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ამ შტატებში კერის მიერ მოპოვებული გამარჯვება აიძულებს მის მეტოქეებს უარი თქვან შემდგომ ბრძოლაზე და მხარში ამოუდგნენ კერის, რათა ერთიანი ძალებით გაილაშქრონ მთავარი მოწინააღმდეგის, მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ. მაგალითად, კენჭისყრის პროცედურის დასრულებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, საარჩევნო ბრძოლაში შემდგომ მონაწილეობაზე უკვე უარი თქვა კიდევ ერთმა „სამხრეთელმა" – გადამდგარმა გენერალმა უესლი კლარკმა.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.**

დღის თემა

(მესამე გვერდიდან)

რეზო ჭეიშვილი: დავიშალოთ იმისათვის, რომ გავერთიანდეთ

[illegible]

სისხლითაა მორწყული იქაურობა. რამდენის გვარი, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი, რეპრესირებული მწერლის გვარი არაა ნახსენები, მაგრამ იცის ყველამ, რამდენი არიან?! 21 ივლისს პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის, რეპრესირებულ მწერალთა ხსოვნის დღეზე ბევრი არ კადრულობს მობრძანებას. პირადულ სიძულვილს არ უნდა ვანაცვალოთ საერთო საქმე. სარაჯიშვილის

[illegible]

საცხოვრებელი სახლი, ვთქვით უკვე, ისტორიულია, თუმცა პატარა, მაგრამ მაინც დავეტევით ყველანი ტრადიციული მწერალთა კავშირის ეგიდით, სხვა შენობაცაა ჩვენს ბალანსზე, როცა იქნება გათავისუფლდება მოიჯარისგან. ყველანი მოვთავსდებით, – ყველა გაერთიანება, ყველა დაჯგუფება, ოღონდ მწერალი, ჭეშმარიტი ლიტერატორი, თუნდაც მწერლობის მოყვარული მოვიდეს.

მწერალთა კავშირის დაშლა რამდენიმე სირთულესთანაა დაკავშირებული:

ქონება გვაქვს: გაგრისა და ბიჭვინთის დასასვენებლი სახლი. გაგრა მთლიანად ჩვენს ბალანსზეა, ბიჭვინთა ნაწილობრივ, მაგრამ იგი იმ საბჭოეთის მწერლებს ეკუთვნოდა და ჩვენს ტერიტორიაზე იდგა აფხაზეთში. დავაფიქსირეთ ჩვენი უფლებები ამ შენობათა საკუთრებაზე, თუ არ ვცდები 1992 წელს. გ. ფანჯიკიძე შევბულებაში იყო და მე და ელგუჯა მაღრაძემ მოვაწერეთ ხელი. არძინბას პასუხმა არ დააყოვნა. ყველაფერი აფხაზეთში აფხაზ ხალხს ეკუთვნის

[illegible]

მოგონება

ჯორჯ ბალანჩინმა მუხლი მოიდრიკა მამის საფლავთან...

100 წლის წინათ პეტერბურგში გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის ოჯახში დაიბადა ვაჟი გიორგი – მომავალში დიდი შემოქმედი, საბალეტო ხელოვნების რეფორმატორი და ნოვატორი – ჯორჯ ბალანჩინის სახელით ცნობილი მთელ მსოფლიოში.



მსგავსად იმისა, როგორც ძველი საბერძნეთის ექვსი ქალაქი ერთმანეთს ეცილებოდა ლეგენდარულ ჰომეროსს, სამ ქვეყანას შეუძლია „თავისად" ჩათვალოს ჯორჯ ბალანჩინი – გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძე. წარმოშობით ქართველი, განათლებითა და კულტურით რუსი, მოღვაწეობის უმთავრესი ნაწილით კი – ამერიკელი – ასეთია იგი – ადამიანი და შემოქმედი, რომლის დაბადებიდან 100 წლისთავს აღნიშნავს კულტურული მსოფლიო.

როგორც არასპეციალისტი, თავს ვიკავებ გამოჩენილი ბალეტმაისტერის შემოქმედებითი მოღვაწეობის კონკრეტული, წმინდა პროფესიული შედეგების შესახებ მსჯელობისაგან. მსურს მხოლოდ მკითხველს გავუზიარო რამდენიმე მცირედი მოგონება, რომელიც მასთან არის დაკავშირებული.

ცხადია, გაგონილი მქონდა განთქმული ბალეტმაისტერის სახელი, მაგრამ მისი ჭეშმარიტი სიდიადე და მნიშვნელობა გავაცნობიერე (თუნდაც, თეორიულად) მხოლოდ მაშინ, როდესაც 1946 წელს ჟურნალ „ამერიკაში" წავიკითხე ამერიკული ბალეტისადმი მიძღვნილი ერთი წერილი. აქ ცნობილი საბალეტო პროდიუსერის კირსტაინის შესახებ ეწერა, რომ იგი „სამუდამოდ შევიდა ამერიკული ბალეტის ისტორიაში იმით, რომ 1933 წელს ევროპიდან ამერიკაში მიიწვია ჯორჯ ბალანჩინი" (!!).

ალბათ დამეთანხმებით, რომ საოცარი ფრაზაა. მართლაც, თავისი მოღვაწეობით ბალანჩინმა არა მარტო თვალუწვდენელ სიმაღლეზე აიყვანა ამერიკული ბალეტი, არამედ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო ქორეოგრაფიულ ხელოვნებაზე.

...1962 წლის შემოდგომაზე ქუთაისში ტარდებოდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ერთ-ერთი შემოქმედებითი ღონისძიება. უეცრად გავრცელდა ხმა, რომ რამდენიმე საათში ქალაქს ეწვევა განთქმული ბალეტმაისტერი ჯორჯ ბალანჩინი, რომელიც პირველად ჩამოვიდა საქართველოში და, თუ არ ვცდები, პირდაპირ თბილისის აეროპორტიდან თავის ძმასთან, კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძესთან ერთად მოემართებოდა ქუთაისისკენ, რათა მუხლი მოედრიკა მამის – მელიტონ ბალანჩივაძის საფლავზე.

არასოდეს დამავიწყდება ეპიზოდი ქუთაისის პატარა პანთეონის „მწვანეყვავილას" გალავანში, სადაც იმხანად განისვენებდა მელიტონ ბალანჩივაძე. ბალანჩინმა ჯერ რამდენიმე წამით დახარა თავი, შემდეგ კი მუხლი მოიდრიკა საფლავთან და სამგზის გადაიწერა პირჯვარი.

არ შევუდგები ბალანჩინის საბალეტო დასის ტრიუმფული გასტროლების აღწერას. ეს ხომ, მართლაც, დაუვიწყარი იყო.

ბალანჩინი თბილისს ხელმეორედ ათი წლის შემდეგ ეწვია და კვლავ გრანდიოზული წარმატებით. სწორედ მაშინ მხვდა ბედნიერება გავცნობოდი გიორგი მელიტონის ძეს (მე მაშინ ვმუშაობდი კომპოზიტორთა კავშირში, რომელსაც ბატონი ანდრია ბალანჩივაძე ხელმძღვანელობდა), ხანმოკლე შეხვედრა გენიალურ ბალეტმაისტერთან სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში. იგი დამამახსოვრდა, როგორც არტისტული პიროვნება არისტოკრატული მანერებითა და უზადო „ძველპეტერბურგული" რუსულით.

რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ ყველას თბილისში ძალიან გვესიამოვნა იმის შეტყობა, რომ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლების დროს ამერიკაში ბატონმა ბალანჩინმა ნამდვილი ქართული გულუხვობითა და სტუმართმოყვარეობით გაუწია მასპინძლობა ჩვენებს.

უკანასკნელი მოგონება ნაღვლიანია. 1983 წელს, ბალანჩინის გარდაცვალების შემდეგ, [illegible] საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II გადაიხადა სამგლოვიარო პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ განსვენებულის ნათესავები, ახლობლები.

შარშან, ალბათ, გვახსოვს, ვენახეთ კინორეჟისორ ზურაბ ინაშვილის უდავოდ სასარგებლო და საინტერესო ფილმი „ქართველები მარიას თეატრში", სადაც საუბარი იყო ბალანჩინზეც. მაგრამ, როგორც უკვე ფილმის სათაურიდან, მისი მიზანდასახულობიდან ჩანს, მას არ შეეძლო სრული წარმოდგენის შექმნა დიდი ბალეტმაისტერის შემოქმედების შესახებ (ნაჩვენები იყო სულ რამდენიმე ფრაგმენტი ბალანჩინის დასის ლენინგრადული საგასტროლო პროგრამიდან).

ამას ვამბობ იმისთვის, რომ ახლო მომავალში გველის სასიამოვნო სიურპრიზი: ეკრანზე ვიხილავთ კომპანია „ნეოსტუდიის" მიერ გადაღებულ სრულმეტრაჟიან ტელეფილმს ჯ. ბალანჩინის შესახებ სტუდიის გენერალური დირექტორი და ფილმის პროდიუსერი მანანა შევარდნაძე, რეჟისორი – მიხეილ ბორაშვილი), რომელიც, ვიმედოვნებ, სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის დიდი ბალეტმაისტერის შესანიშნავი ხელოვნების შესახებ.

დაბოლოს, როგორც სულ ახლახან გახდა ცნობილი, ჯ. ბალანჩინი დაჯილდოვდა (სიკვდილის შემდეგ) რუსთაველის სახელობის პრემიით, რომელიც გადაეცემა „ჯორჯ ბალანჩინის ფონდს" ნიუ-იორკში „სუხიშვილების" ნაციონალური გასტროლების დროს.

გულბათ ტორაძე.

სურათზე: ძმები – ჯორჯ ბალანჩინი და ანდრია ბალანჩივაძე.

ჩვენ და კანონი

სახლებსა და აგარაკებს სიდედრებზე ფლარავენ გააფორმებს

აშკარაა, რომ ქვეყანაში გაბატონებულმა კორუფციამ სრულ კატასტროფამდე მიგვიყვანა. ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე მედგრად შეუტია ამ დიდ ბოროტებას. რამდენიმე დიდი სახელმწიფო მოხელე უკვე დააპატიმრეს, ზოგიერთი გაიქცა, მაგრამ მათზე სისხლის სამართლის საქმეები აღძრეს. ეს ბრძოლა, ცხადია, კვლავ გაგრძელდება.

ამ სტრიქონების ავტორი, ვიდრე „ურემი გადაბრუნდებოდა“, შეძლებისდაგვარად ამხელდა საქართველოს კორუმპირებულ ჩინოვნიკობას ამ გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ წერილებში, წიგნებში „თანამედროვე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო“, „კორუფცია და სახელმწიფო ხელისუფლება“ და სხვა ნაშრომებში. საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე ციტატას.

„საქართველოს რესპუბლიკამ“ 2003 წლის 1 თებერვალს დაბეჭდა წერილი „ბომბი კორუმპირებულთა სამყაროში“, რომელიც შეეხება იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს „თანამდებობის პირთა მიერ მითვისებული ქონების ხალხისათვის დაბრუნების შესახებ“. ეს კანონპროექტი მთავრობის 2001 წლის აგვისტოს სხდომაზე განსახილველად იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა წარადგინა. კანონპროექტმა მთავრობის წევრებში დიდი დაბნეულობა გამოიწვია. წერილში ნათქვამია: „თავისთავად მისი (ე. ი. კანონპროექტის) არსებობა „ბომბია კორუმპირებულთა სამყაროში“, რამდენადაც მისი მთავარი მოთხოვნა – ნაქურდალი (უკანონო) ქონება პატრონს (სახელმწიფოს ან მოსახლეობას) უნდა დაუბრუნდეს – მართლზომიერია და ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესებს გამოხატავს“. შემდეგ მითითებულია, რომ „კანონპროექტი იმ ქონების ჩამორთმევას მოითხოვს, რომლის დატაცებამითვისებას ხელი მიჰყვეს კორუფციული პრივატიზაციის დაწყებიდან, 1993-1994 წლებიდან, კუპონების „აყვავების“ პერიოდიდან. ამ ფინანსური აფიორას მესვეურნი დღესაც სხედან „თბილ“, ფულის მოსახვეჭ ადგილებზე. საქართველოში კორუფციული პრივატიზაციის მთავარი შედეგია მისი ლეგიტიმურობის არარსებობა. ქვეყნის მოსახლეობის შეგნებაში არ არსებობს იმის აღიარება, რომ თანამდებობის პირების და მათი ახლობლების მიერ ქონების მფლობელობა პრივატიზაციის შედეგად ლეგიტიმურს, ე. ი. კანონიერს წარმოადგენს... ვიდრე არ არსებობს ქონების მფლობელობის ლეგიტიმურობის აღიარება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ, ქონების (საკუთრების) მფლობელობა თავისი არსით დროებითია, ხოლო მისი მფლობელები მედროვეები არიან. ისინი უკანონო მფლობელობას ადრე თუ გვიან დაკარგავენ“.

ასეც მოხდა. სულ რაღაც ერთი წელიც არ დასჭირდა ამ მოსაზრების დადასტურებას. ახალმა ხელისუფლებამ უკვე რეალურად დააყენა დანაშაულებრივი გზით დაგროვილი ქონების მფლობელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ამ ქონების კონფისკაციის საკითხი.

როგორც იტყვიან, „ყინული გალღვა“. აქამდე კორუფციასთან „ბრძოლა“ შემოიფარგლებოდა ლოზუნგებითა და მოწოდებებით, რეკლამებითა და ლიტონი განცხადებებით: „უნდა ვებრძოლოთ კორუფციას“, „უნდა მოვსპოთ იგი“ (რაც სასწაულის ტოლფასია), საქმე კი ადგილიდან არ იძროდა, იგი „უნდას“ იქეთ არ მიდიოდა. ებრძოდნენ სულ სხვა სახის დანაშაულს და კორუფციად ნათლავდნენ.

ახალი პრეზიდენტის ინიციატივით კვლავ იუსტიციის სამინისტროს მიერ ანტიკორუფციული ცვლილებების მომზადება, რომელიც ძირითადად ადრინდელ კანონპროექტს ეყრდნობა, თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ უკვე არსებობს ამ მძიმე სენთან უკომპრომისო ბრძოლის პოლიტიკური ნება. ეს ყალიბდება სისხლის სამართლის პოლიტიკაში და აისახება მოქმედ კანონმდებლობაში, რაც მთავარია, მისთვის პრაქტიკული რეალიზაციის პირობების შექმნით. აქამდე ასეთი ნება არ არსებობდა. არადა, ყველაზე მძლავრი იარაღი კორუფციის დასაძლევად სწორედ პრეზიდენტის პოლიტიკური ნებაა.

ცნობილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს სასჯელის ისეთ ტრადიციულ სახეობას, როგორიც ქონების კონფისკაციაა. ზოგიერთი სპეციალისტის (თუ არასპეციალისტის, ზოგიერთი კორუმპირებული მინისტრის) აზრით, თითქოს ასეთი სასჯელი ეწინააღმდეგება საკუთრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ პრინციპს. საზღვარგარეთის ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობაში კი იგი აღიარებულია, როგორც სასჯელის სახეობა, ხოლო საკუთრება გამოცხადებულია წმიდად და ხელშეუხებლად. ხშირად გათვალისწინებულია კონფისკაციის ორი სახე: მთლიანი და ნაწილობრივი. მაგალითად, ნარკოტიკულ ან ფეთქებად ნივთიერებათა გასაღებისათვის გამოიყენება მთელი დანაშაულებრივი ქონების კონფისკაცია, ხოლო კორუფციის შემთხვევაში ხდება დანაშაულებრივი გზით დაგროვილი ქონების (ფული, ნივთი, უკანონოდ აშენებული თუ შეძენილი სახლები და ა. შ.) კონფისკაცია. ეს პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში იოლად „გადაწყდა“ – საერთოდ უარი ეთქვა ქონების კონფისკაციას, როგორც სასჯელის ძირითად ან დამატებით სახეობას.

ქონების კონფისკაციის ნაცვლად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (315-316 მუხლები) გათვალისწინებულია დანაშაულის იარაღის, საგნის ამოღება. მაგრამ ეს პროცედურა დანაშაულში ეჭვმიტანილის ბრალეულობის დასადგენად საპროცესო ზემოქმედების საშუალებაა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ხერხია და არა სასჯელის ზომა. ამდენად, ამ პროცესუალურმა ღონისძიებამ, ცხადია, არ შეიძლება შეცვალოს ქონების კონფისკაციის მოთხოვნა.

ამიტომაც ახალი კანონი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაციას, დანაშაულში ეჭვმიტანილ თანამდებობის პირთა დაუსწრებლად პასუხისგებაში მიცემას და ბრალის წაყენებას, სასჯელის შემსუბუქების მიზნით პროკურორსა და ბრალდებულს შორის გარიგებას და ა. შ.

შევეხოთ თანამდებობის პირის მიერ კორუფციული დანაშაულის (თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, გაფლანგვა, გადასახადის დამალვა და სხვა) ჩადენის შემთხვევაში დაუსწრებლად გასამართლებას, თუ იგი თავს არიდებს გამოძიებას. როცა პროკურორს აქვს სათანადო მტკიცებულება, რომ თანამდებობის პირის მიერ ქონების შეძენა სახელმწიფო ქონების მითვისების შედეგად მოხდა, იგი ვალდებულია სამოქალაქო სარჩელი აღძრას ასეთი ქონების კონფისკაციის მოთხოვნით. თუკი თანამდებობის პირი ვერ დაამტკიცებს, რომ ქონება კანონიერად შეიძინა, მას ეს ქონება ჩამოერთმევა, ცხადია სასამართლო გადაწყვეტილებით.

ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, თანამდებობის პირი, რომელიც ჩადენილი დანაშაულებრივი (კორუფციული) ქმედების გამო ემალება მართლმსაჯულებას და იმყოფება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ხშირად იცვლის საცხოვრებელ ადგილს, მის მიმართ გამოიყენება ექსტრადიციის, ე. ი. დამნაშავის გადაცემის წესი, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის, სადაც ჩადენილია დანაშაული. გადაცემის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს კანონის შესაბამისი ყველა პროცედურაც თანამდებობის პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად და გასასჯელის სასამართლოზე გადასაცემად. ცხადია, სამართლებრივი პროცედურის ყველა ეტაპზე ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) დაცვის პირობით. ეს პირობები აუცილებლად უნდა ჩაიდოს საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტში.

საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი აფართოებს თანამდებობის პირთა წრეს, რაც ლოგიკურია. კანონში საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ (1997 წ.) შეტანილი ცვლილებების თანახმად, თანამდებობის პირად სხვებთან ერთად ითვლებიან იმ საწარმოთა ხელმძღვანელი პირებიც, რომელთა ქონების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს კუთვნილებაა.

აქ საყურადღებოა „დაკავშირებული პირის“ ცნებაც. მასში იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომელიც იურიდიულად ფლობს ქონებას, რეალურად კი ამ ქონებით სარგებლობს სხვა, ნამდვილი პატრონი, თანამდებობის პირი. „დაკავშირებული პირი“ ვალდებულია თანამდებობის პირის მსგავსად დაასაბუთოს თავისი ქონების კანონიერება. საქმე ეხება თანამდებობის პირის მიერ დანაშაულებრივი გზით დაგროვილი ქონების – სახლების, სასახლეების, ფულის და ა. შ. სიმამრების, სიდედრების, ახლობლების თუ მეგობრების სახელზე გაფორმებას. ასეთების იურიდიული პასუხისმგებლობით საკითხის დაყენება აუცილებელია. ამით მაქინაციების გზები მოიჭრება.

რაც შეეხება „გარიგების ინსტიტუტს“, რომელიც შეტანილია, აგრეთვე, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტში, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. გამოუსწორებელ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან – „პროფესიონალ“ კორუმპირებულებთან და ბოროტმოქმედებთან რაიმე გარიგება დაუშვებელია (ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან შემდგარი გარიგება არ გამოდგება ასეთი ღონისძიების სასამართლო პრაქტიკაში დანერგვისათვის). თუ მაინცდამაინც მისი გამოყენება საჭიროა ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ეს უნდა გააკეთოს სასამართლომ თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით.

ცვლილებებია მოსალოდნელი სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებითაც. თუ განაჩენი ლმობიერია, გენერალურ პროკურორს ეძლევა მისი დამძიმების მოთხოვნის უფლება. მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლეს დღესაც არა აქვს უფლება განსასჯელს მიუსაჯოს იმაზე მეტი, როგორსაც პროკურორი მოითხოვს. ახლა ამას ემატება გენერალური პროკურორის „ზედამხედველობაც“. ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს სასამართლო ხელისუფლების შესუსტების მცდელობას? ან სულაც მისი დამოუკიდებლობის დაკარგვას?

ცვლილებები სოლიდურია. ამიტომ მათ უნდა მოვეკიდოთ ფრთხილად. აუჩქარებლად!

პროფესორი
ალექსანდრე მუჯირი.

შპს კომპანია „ცენტრის“ ადმინისტრაციას, სს „ხიდმშენის“ აქციონერებს

სს „ხიდმშენის“ გენერალური დირექტორის ბორის ჭიღვარიას და სს „ხიდმშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის

განცხადება

იმის გამო, რომ 2004 წლის 20 თებერვალს დანიშნული სს „ხიდმშენის“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი და მისი მოადგილე ბატონი ოთარ ცქიტიშვილი არ იყვნენ დროულად და სათანადოდ ინფორმირებული და, ამასთანავე, იმის გამო, რომ აღნიშნული დღისათვის არ ესწრება სააქციო საზოგადოების ბალანსის შედგენა, მოწვეული კრება გადაიდება. საერთო კრების მოწვევის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ გამოცხადდება დამატებით.

ბორის ჭიღვარია,
თეიმურაზ ზაბურიშვილი.

სააქციო საზოგადოება „ბონდის“ აქციონერებს ვიწვევთ აქციონერთა საერთო კრებაზე 2004 წლის 3 მარტს 12 საათზე, ვაჟა-ფშაველას № 41-ში. დღის წესრიგი: ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა.

სს „ბონდის“ დირექტორატი.

განცხადება

სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტი, თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. 13. ტელეფონი 95-65-30, 2004 წლის 11 მარტს დღის 2 სთ-ზე ატარებს აუქციონის წესით შემდეგი სახის საგნების რეალიზაციას:

1. ფირმა „Siemens“-ის 1986 წელს გამოშვებული ციფრული რენტგენული ანგიოგრაფის „ANGIOSKOP-D“, საწყისი ფასით 13383,00 ლარი;
2. ავტომანქანა გაზ-310290 1996 წელს გამოშვებული, საწყისი ფასით 3 628.00 ლარი;
3. ალუმინის ვიტრაჟები 6 ცალი სხვადასხვა ზომის, საერთო ფართით 33.83 კვ. მ., საწყისი ფასით 1 488.00 ლარი.

დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირები სარეალიზაციო ქონებას წინასწარ შეიძლება გაეცნონ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

განაცხადი აუქციონში მონაწილეობაზე მიიღება 2004 წლის 10 მარტამდე დღის 17 სთ-მდე.

საუქციონო კომისია.

შპს „ხპორტლენდი XXI“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ ტელეფონზე: 93-43-50.

ხუთშაბათი
12 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 10.10 მხ. ფილმი "**ამფიბიადამიანი**" 11.45 დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 12.00, 15.00, 20.00, 23.30 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**სოლედადი**" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. ფილმი "ლეგენდარული თვითმფრინავები" 15.15 მხ. ფილმი "**სამხედრო ხელოვნება**" 16.55 ერთი თეთრიც ფულია 17.10 დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 17.20 დოკ. ფილმი "ალყირი-ჩემი ჩრდილები" 1-ლი ს. 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი "**სოლედადი**" 19.15 ჯანმრთელობა 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.35 "არტე" წარმოგიდგენთ 21.50 კონცერტი 22.25 სერიალი "**ჩემი ამერიკელი ბიძა**" 23.45 მხ. ფილმი "**ჯარი და ტომი**"

19.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" 19.35 კინოსეანსი "**მე თქვენ მიყვარხართ**" 21.00 ეგვიპტოლოგიის პიონერები 22.10 მხ. ფილმი "**ლორები**"

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეიპუცები" 09.40 სერიალი "**სასტიკი ანგელოზი**" 11.00 სერიალი "**სოპრანოს კლანი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "**მაშველები**" 18.20 "ტელეიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "**სასტიკი ანგელოზი**" 22.00 სერიალი "**სოპრანოს კლანი**" 23.00 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი "**გამორჩეულ ჯენტლმენთა ლიგა**". მთ. რ-ში: შონ კონერი, პეტა უილსონი.

08.00 ანონსი, დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "**სტარტაფის მთავრობელები**" 12.20, 14.50, 17.20, 17.50, 21.45, 01.05 მუსიკა 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10 დოკ. ფილმი 13.30 დოკ. ფილმი 15.15 მხ. ფილმი "**მოასლე ტიტანიკიდან**" 17.30 მულტფილმი 18.00 ტელე-სინე ვიდეო 20.00 მხ. ფილმი "**მამას ჯონი**" 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი "**აჯანყობა**"

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.40, 17.20, 00.50 იმედის მელოდიები 08.00 "იმედის" დილა 10.10 სერიალი "**სიყვარული უდაბნოში**" 11.05 თამაში: უდაბნოს სამჭედლოები 12.10 სერიალი "**კლონი**" 13.30 "მულამები" 14.05 სერიალი "**ნეშ ბრიჯისი**" 15.15 მხ. ფილმი "**არის ასეთი ქვეყანა**" 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.35 ქრონიკა 17.25 არტ-ბულვარი 18.05 სერიალი "**სიყვარული უდაბნოში**" 19.30 სერიალი "**კლონი**" 20.30 სერიალი "**ნეშ ბრიჯისი**" 21.30 სპ. პროგრამა "ესტაფეტა" 22.50 მხ. ფილმი "**ორშაბათი**"

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) 10.00 სერიალი "**მისი სულის მუსიკა**" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" 19.00 სერიალი "**მისი სულის მუსიკა**" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "**სიყვარულის ისტორია**" (ჟან რენო) 23.45 მხ. ფილმი "**შესანიშნავი შეიდეული**" (იულ ბრინერი)

12.00 მხ. ფილმი "**ზვავი**" 14.30 მხ. ფილმი "**კერძები კაკალი 3**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**ზაზუნას დღე**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**ერინ ბროკოვიჩი**" 00.30 მუსიკა

08.00 "დილა მშვიდობისა, რუსეთო" "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუსიკა 15.00 "ვესტი" "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 18.00 მუს. პაუზა 18.45 სპორტის სამყარო 20.00 პოლიტიკა, პოლიტიკა 21.00 "ვესტი" 21.30 სალონი 23.00 სერიალი "**შავახანა**" 00.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 15.20 ფილმი "**რაღაც ცნობები მარტაზე**". მთ. რ-ში მონიკა პოტერი, რუფუს სიუელი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 00.00 "ბრავო" "**კლიენტი**" მთ.რ-ში სუზან სარანდონი, ტომი ლი ჯონსი. 01.40 "ღამურა" 03.00 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "**დილა**" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "**დილა**" 10.15, 13.50, 17.50 მუსიკა 10.30 სერიალი "**მოჯადოება**" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 11.50 მხ. ფილმი "**ვარსკვლავური ომები**" 14.00 მულტსერიალი "კონკია" 14.50 "ევროპის სტადიონებზე" 15.10 მხ. სერიალი "**პატარა აინშტაინები**" 15.35 სერიალი "**სირინოზები**" 16.35 დოკ. სერიალი "ზღვარზე" 17.00 მხ. სერიალი "**ზებუნებრივი სამყარო**" 18.00 მულტსერიალი "კონკია" 18.30 მხ. სერიალი "**პატარა აინშტაინები**" 19.00 სერიალი "**სირინოზები**" 20.00 "მსოფლიო ფეხბურთი" 21.30 "ყვითელი კვადრატი" 22.00 სერიალი "**მოჯადოება**" 23.00 ცხელი ცხრიანი 23.50 სერიალი "**ედგარ ალან პოს საიდუმლო ამბავი**" 5ს. 01.00 რუს. ფილმი "**ვერტიკალი**". (ვ.ვისოცკი).

პარასკევი
13 თებერვალი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 10.10 მხ. ფილმი "**ჯარი და ტომი**" 11.45 დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 12.00, 15.00, 20.00, 23.30 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**სოლედადი**" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 მხოლოდ კლასიკა 15.15 მხ. ფილმი "**ცა ჩამოიქცა**" 16.50 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 17.05 დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი "**სოლედადი**" 19.15 პალიტრა 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 "იმღერე რამე" 21.35 "არტე" წარმოგიდგენთ 21.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.40 სერიალი "**ჩემი ამერიკელი ბიძა**" 23.45 მხ. ფილმი "**წითელი სისხლი**"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" 19.35 კინოსეანსი "**პაჟიშვილის ფიცი**" 21.05 ენერგია 21.30 აფხაზეთის ტვ. 22.10 მხ. ფილმი "**მილიონი ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი**"

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეიპუცები" 09.40 სერიალი "**სასტიკი ანგელოზი**" 11.00 სერიალი "**სოპრანოს კლანი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "**მაშველები**" 18.20 "ტელეიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "**სასტიკი ანგელოზი**" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 ღამის კურიერი 00.05 მხ. ფილმი "**კოტონ კლუბი**". მთ. რ-ში: რიჩარდ გირი, დაიან ლეინი. 02.10 მხ. ფილმი "**როლერბოლი**". მთ. რ-ში: ჟან რენო, კრის კლეინი.

08.00 ანონსი, დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "**მამას ჯონი**" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10 მულტფილმი 13.30 დოკ. ფილმი 14.50, 17.20, 17.50, 21.55, 23.30, 01.55 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი "**აჯანყობა**" 17.30 მულტფილმი 18.00 დოკ. ფილმი 18.45, 19.45 მუსიკა 20.00 მიუზიკჰოლი 21.00 დოკ. ფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 23.00 მხ. ფილმი "**ინგლისელი ქალი და პერსონი**"

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 16.50, 17.20, 17.55, 00.55 იმედის მელოდიები 07.45 "იმედის" დილა 10.10 სერიალი "**სიყვარული უდაბნოში**" 11.35 დოკ. სერიალი "შვეიცარია" 12.10 სერიალი "**კლონი**" 13.30 სპ. პროგრამა "ესტაფეტა" 14.05 სერიალი "**ნეშ ბრიჯისი**" 15.15 მხ. ფილმი "**ორშაბათი**" 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.40 ქრონიკა 17.25 "ნბა"-ს ჟურნალი 18.05 სერიალი "**სიყვარული უდაბნოში**" 19.30 სერიალი "**კლონი**" 20.30 "თემა" 22.50 მხ. ფილმი "**ანგელოზსა და ეშმაკს შორის**"

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) 10.00 სერიალი "**მისი სულის მუსიკა**" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" 19.00 სერიალი "**მისი სულის მუსიკა**" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "**დიდი რბოლა**" (ჯონსიან ბალასკო) 23.45 მხ. ფილმი "**კარცეა იტალიურად**" (მარკ უოლბერგი)

12.00 მხ. ფილმი "**ერინ ბროკოვიჩი**" 14.15 მხ. ფილმი "**ჭკვიანი უილ ჰანტინგი**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მულტფილმი "ურჩხული და ლამაზმანი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**ბალღის ძიძა**" 00.30 მუსიკა

08.00 "დილა მშვიდობისა, რუსეთო" "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ინდ. მხ. ფილმი "**სამი ძმა**" 15.00 "ვესტი" "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 18.00 საზოგადოება და ტრანსპორტი 19.00 მუს. პაუზა 20.00 "სცენის ოსტატები" 21.00 "ვესტი" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 თეატრალური შეხვედრები 23.30 სერიალი "**შავახანა**" 00.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 15.20 ფილმი "**მხეცის ნატურა**". მთ. რ-ში პატრისია არკეტი, ტიმ რობინსი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 00.00 "ბრავო" "**ბანდიტი ქალები**" მთ.რ-ში კატია რიმანი, იასმინ ტაბაი. 01.40 "ღამურა" 03.45 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "**დილა**" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "**დილა**" 10.15, 13.05, 17.50, 18.55 მუსიკა 10.30 სერიალი "**მოჯადოება**" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 11.50 რუს. მხ. ფილმი "**ვერტიკალი**" 13.15 "ცხელი ცხრიანი" 14.00 მულტსერიალი "კონკია" 14.50 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.10 მხ. სერიალი "**პატარა აინშტაინები**" 15.35 სერიალი "**სირინოზები**" 16.35 დოკ. სერიალი "ზღვარზე" 17.00 მხ. სერიალი "**ზებუნებრივი სამყარო**" 18.00 მულტსერიალი "კონკია" 18.30 მხ. სერიალი "**პატარა აინშტაინები**" 19.00 სერიალი "**ჰენრი ჯეიმსი**" 1-ლი ს. 20.00 დოკ. ფილმი "ფურცლები საბ. შაქ. ისტ." 22.00 სერიალი "**მოჯადოება**" 23.00 ღამის მატარებელი 01.00 მხ. ფილმი "**მანჩესტერიდან შორს**" (ბერნარ ფრისონი).

შაბათი
14 თებერვალი

08.00, 15.00, 20.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "**წითელი სისხლი**" 10.00 დილის პავმანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 გლობუსი 12.35 პოზიცია 13.20 კვალი 13.50 საცირკო სანახაობა 14.25 საქართველო, დრო, მოვლენები 15.15 მხ. ფილმი "**მონიფული ცხოვრება**" 16.45 საწინდარი 17.15 დოკ. ფილმი "ზამთრის ფანტაზია" 18.00 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 ისტორიანი 19.35 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 20.35 ცაიტნოტი 21.45 ფორტუნა 22.25 პროფათეული 23.00 ამბობენ 23.35 მოამბე 23.50 მხ. ფილმი "**მახვილგონიერნი**" 01.25 ღამის ჯაზი

19.00 მულტსერიალი 19.30 პალიტრა 20.00 ჯანმრთელობა 20.30 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში 21.20 მხ. ფილმი "**ენებათა ორომტრიალი**" 22.55 კონცერტი "ფორტე"

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 "სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 17.05 "დისკავერი" 18.00, 01.00 კურიერი 18.20 სერიალი "**განდგომილი**" 19.00 დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" 19.30 დეტექტ. სერიალი 21.00 კურიერი P.S. 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 "ფსიქო": "1,2,3 -**მზე**" რეჟ. ბერტრან ბლიე. 01.20 მხ. ფილმი "**ესპანური სასტუმრო**". მთ. რ-ში: ოდრი ტოტუ, რომენ დიური.

08.00 ანონსი, დიალოგი 10.30 მხ. ფილმი "**ინგლისელი ქალი და პერსონი**" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 17.30 მულტფილმი 13.30 დოკ. ფილმი 14.50, 17.20, 17.50, 18.30, 21.55 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.30 მულტფილმი 20.30 ლოტერეა. გადაცემა - სილუეტი 21.00 დოკ. ფილმი 23.30 მხ. ფილმი "**უსარი სახურავზე**" 01.15 მხ. ფილმი "**ქუში**"

09.00, 13.00, 15.00, 17.00 ქრონიკა 09.15 სერიალი "**სიყვარული უდაბნოში**" 10.05 ანიმაც. ფილმი "ნოეს კიდობანი" 1-ლი ნ. 10.30 მხ. ფილმი "**ანგელოზსა და ეშმაკს შორის**" 12.10, 01.20 იმედის მელოდიები 12.30 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 13.10 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 13.35 "თემა" 15.15 მხ. ფილმი "**ლმერთი დიდია, მე პატარა**" 17.05 დოკ. სერიალი "სტილის ამქრები" 18.00 ერთხელ ჰოლივუდში 18.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 19.00, 22.00, 00.15 ქრონიკა 19.30 სერიალი "**კლონი**" 20.30 ქართ. სერიალი "**შავა და ლუდი**" მე-15ს. 21.30 ლარის მახე 22.40 კლიპ-ლოტო 23.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 02.00 მხ. ფილმი "**მის ფეიერვერკი**" 03.45, 08.00 იმედის მელოდიები 05.00 ეროვნული საკალათ. ასოციაცია

09.00 მულტფილმი "ბოლტო" 10.15 საბ. სერიალი "მეათე სამეფო" 11.30 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 12.00 საფეხბურთო მიმოხილვა 12.30 სერიალი "**ფანტაზიების კუნძული**" 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00, 20.50 საინფ. გამოშვება "მზერა" 18.05 სერიალი "**ძიროსიმა**" 19.00 სერიალი "**კოდი კოპერნიკი**" 21.20 მხ. ფილმი "**ტუზები**" (არნოლდ შვარცენეგერი) 23.10 მხ. ფილმი "**იქ, სადაც მდინარე მიედინება**" (ბრედ პიტი)

12.00 მხ. ფილმი "**ბალღის ძიძა**" 14.00 მხ. ფილმი "**კარტი, ფული და ორი ლულა**" 16.30 მხ.ფილმი "**პატივმოყვარეობის კოსტიუმი**" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" 19.40 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი "**მამაცი გული**" 00.20 მხ. ფილმი "**დრაკულა**"

08.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 საბავშვო სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 18.10 თქვენი ადვოკატი 19.00 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 "თინეიჯერი" 21.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 საოცარი პირამიდა 23.30 სერიალი "**შავახანა**" 00.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 15.20 ფილმი "**იდიოტი საჭიროდ**" მთ. რ-ში პარმინდერ ნაგრა, კირა ნაიტლი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 00.00 "ბრავო" "**უშიშრობის ძებნის წელი**" მთ. რ-ში პიზერ გრეიმ, ლუკ უილსონი. 01.50 "ღამურა" 03.45 პაუზის გარეშე

08.30 მხ. ფილმი "**შრეკი**" 09.50 მოკლ. მხ. ფილმი 10.30 სერიალი "**მოჯადოება**" 11.30 მხ. ფილმი "**მანჩესტერიდან შორს**" 13.10, 16.25, 17.50 მუსიკა 13.30 დოკ. ფილმი "ფურცლები საბ. შაქ. ისტ." 14.00 მულტსერიალი "კონკია" 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 14.50 "ყვითელი კვადრატი" 15.10 სერიალი "**პატარა აინშტაინები**" 15.35 სერიალი "**ჰენრი ჯეიმსი**" 16.35 დოკ. სერიალი "ზღვარზე" 17.00 მხ. სერიალი "**ზებუნებრივი სამყარო**" 18.00 მულტსერიალი "კონკია" 18.30 სერიალი "**პატარა აინშტაინები**" 19.00 "საუბრები სტუდიაში" 20.00 "ტელემეტრი" 22.00 მხ. სერიალი "**ფერადი ცხოვრება**" მე-2ს. 23.00 ცხელი ცხრიანი 23.50 სერიალი "**ედგარ ალან პოს საიდუმლო ამბავი**" 6ს. 01.00 მხ. ფილმი "**ინტუიცია**"

კვირა
15 თებერვალი

08.00, 15.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "**მახვილგონიერნი**" 09.45 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 10.00 დილის პავმანი 11.00 დიდი დასვენება 11.30 ტვ-ლოტო 12.10 სპა 12.35 მოსკოვი-თბილისი 13.05 ღამის ჯაზი 13.35 მეტრო 14.10 საკვირაო გამოფენა 14.25 არათბილისური ამბები 15.15 სპექტაკლი "**ჩვენი პატარა ქალაქი**" 17.40 სამეჯლისო ცეკვები 18.00, 20.00, 23.30 მოამბე 18.20 ფრაგმენტების სურათისათვის 18.50 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 19.00 ტელეზღაპარი 19.15 ჩვენი მისამართია 21.00 მუსიკალური ოქტაგონი 22.00 საქართველო არის ესე 22.30 სატ. მუს. ფილმი "**ფინანდალი**" 23.10 ჩემი მშვენიერი ლედი 23.50 მხ. ფილმი "**დარტანიანის ქალიშვილი**"

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 ამბები ჩვენზე 20.00 ეგვიპტოლოგიის პიონერები 20.30 საქართველოს მატიანე 21.00 შეხვედრები ფიქრის გორაზე 21.45 მხ. ფილმი "**მოსხენიების დღე**".

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 "სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 00.10 კურიერი 18.20 დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" 18.45 მხ. ფილმი "**ვერტიკალური ზღვარი**" 22.00 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "**ინკოგნიტო**" 877 45-79-25 ჯეისონ პატრიკი, ირენ ჟაკობი, "**მისია**" 877 45-79-26 რობერტ დე ნირო, ჯერემი აირონსი, "**ოთხი ბუმბული**" 877 45-79-27 ჯიტ ლეჯერი, კეიტ ჰადსონი. 00.20 მხ. ფილმი "**ადაპტაცია**". მთ. რ-ში: ნიკოლას კეიჯი.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.30, 13.00, 19.00 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი "**უსარი სახურავზე**" 11.15, 21.55, 00.50 მუსიკა 11.20 მულტფილმი 12.30 გადაცემა - მურადა 13.00 მხ. ფილმი "**ქუში**" 15.00 ქიმერიონი 17.00 ოპერა 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "**ძმრიელის ცოლი**" 22.00 ტელე სინე ვიდეო 23.00 დოკ. ფილმი 23.30 ჯაზის საღამოები 00.20 მხ. ფილმი "**ექსტრაორდინალური ისტორიები**".

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 00.15 ქრონიკა 09.10, 12.10, 17.50, 01.20 იმედის მელოდიები 10.05 ანიმაციური ფილმი "ნოეს კიდობანი" მე-2 ნ. 10.30 მხ. ფილმი "**მის ფეიერვერკი**" 12.30 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 13.15 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 13.40 "უდაბნოს სამჭედლოები" 14.30 X-კლუზივი 15.15 ეროვნული საკალათ. ასოციაცია 17.05 დოკ. სერიალი "სტილის ამქრები" 18.00 სპ. პროგრამა "ასი" 18.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 19.30 მულამები 20.00 მხ. ფილმი "**აშილი**" 22.00 დროება 23.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 02.00 მხ. ფილმი "**გზა**" 04.00 იმედის მელოდიები 05.00 ეროვნული საკალათ. ასოციაცია.

09.00 მულტფილმი "ბოლტო 2" 10.25 საბ. სერიალი "მარტორქის მოგზაურობა" 11.30 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 12.00 ფეხბურთი მზერა 12.30 სერიალი "**ფანტაზიების კუნძული**" 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.00 ეროსიონი. კონცერტი. 19.00 სერიალი "**კოდი კოპერნიკი**" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.30 მხ. ფილმი "**მამიკოს საბავშვო ბაღი**" (ედი მერფი) 22.15 მხ. ფილმი "**ტრიუმპების ოსტატი**" (პიტერ ოტული)

12.00 მხ. ფილმი "**მამაცი გული**" 14.45 საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" 15.00 მხ. ფილმი "**დოქტორ მორონის კუნძული**" 17.00 მხ. ფილმი "**ვერტიკალური ზღვარი**" 19.00 ინდ. მხ. ფილმი "**ბურის კვალი**" 22.00 მხ. ფილმი "**შოკოლადი**" 00.00 მხ. ფილმი "**საყვარელი**"

08.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 11.15 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.15 თეატრალური შეხვედრები 13.15 მუს. პაუზა 14.00 ლაბირინთი 15.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 18.10 რელიგიის საათი 20.00 თავისუფალი მიკროფონი 20.30 შეხვედრა ვარსკვლავთან 21.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა 22.00 "იდენტი" 22.30 საოცარი პირამიდა 23.30 სერიალი "**შავახანა**" 00.00 "ÐÒÐ Ï ëàí åòà-ს" პროგრამა

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 15.20 ფილმი "**ნარლიბოს ანგელოზები**" მთ. რ-ში ველი პაჩეკო, ალექსანდრა რამსი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 პროფათეული 22.35 მუსიკა 23.15 სოლო 00.00 "ბრავო" "**ძუნწი ჰოველისის ძურთის**" მთ.რ-ში ჯეიმს მარშალი, ერიკ რობერტსი. 01.40 "ღამურა" 03.45 პაუზის გარეშე

08.20 მხ. ფილმი "**ინტუიცია**" 10.30 მხ. სერიალი "**ფერადი ცხოვრება**" 11.30 მულტსერიალი "ტომი და შინა" 12.00 "საუბრები სტუდიაში" 12.50 მოკლ. მხ. ფილმი 13.15 "ცხელი ცხრიანი" 14.00 მულტსერიალი "კონკია" 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 14.50 მუსიკა 15.05 სერიალი "**პატარა აინშტაინები**" 15.30 მხ. ფილმი "**თომას კრაუნის თაღლითობა**" 18.00 დოკ. სერიალი "მსოფლიოს უდიდესი მდინარეები" 19.00 "ბელისიმო" 19.30 მოკლ. მხ. ფილმი 20.00 "მსოფლიო ფეხბურთი" 22.00 რუს. სერიალი "**დეტექტივი დუბროვსკის დოსიე**" 23.00 "ოლიმპი" 23.20 მხ. სერიალი "**მეგრე**" 01.00 მხ. ფილმი "**კაბირიას ღამეები**" (ჯულიეტა მაზინა).

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პოლიცია

ცხინვალისკენ მიდის ქარავანი

10 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კრიმინალების მხრიდან პოლიციისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისა და სამართალდამცველთა სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებს. შს მინისტრმა ერთხელ კიდევ გაიმეორა ადრე ნათქვამი, რომ არავის აპატიებენ პოლიციელის სისხლს. შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, თუკი რეალური საფრთხე დაემუქრა ჩვეულებრივი მოქალაქის ან სამართალდამცველის სიცოცხლეს, აუცილებლად მოხდება კრიმინალის ადგილზე ლიკვიდაცია, როგორც ამას ითვალისწინებს კანონიც.

მინისტრმა ჟურნალისტებს გააცნო ამ დღეებში მომხდარი ორი ასეთი შემთხვევა.

5 თებერვალს პოლიციამ კასპის რაიონის სოფელ დოესის ბაღებში ერთ-ერთ მიტოვებულ ქოხში მიაგნო მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ძებნილ ძმებს, ნასამართლევებს ლევან და გიორგი ბეგლარიშვილებსა და მათ ერთ თანამზრახველს.

ისინი არ დანებდნენ პოლიციელებს. უფრო მეტიც, ხელყუმბარა ისროლეს და დაჭრეს კასპის შს განყოფილების პოლიციელი გია დანდუროვი, სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორები: პოლიციის კაპიტანი მიხეილ კორკოტაშვილი და პოლიციის მაიორი იმედა ქერივიშვილი. ამის შემდეგ კრიმინალებმა გაიტაცეს დაჭრილი პოლიციელის პისტოლეტი და მიიმალნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდა პოლიცია საშიშ ბოროტმოქმედებს. 9 თებერვალს ისინი აღმოაჩინეს გორის რაიონის მთის ერთ-ერთ მიტოვებულ სოფელში. ისინი არც ამჯერად დანებდნენ სამართალდამცველებს და აუტეხეს სროლა, თან გაქცევას შეეცადნენ. პოლიციელებმა მაშინვე გახსნეს საპასუხო ცეცხლი, რის შედეგადაც ლევან და გიორგი ბეგლარიშვილები ადგილზე იქნენ ლიკვიდირებული. შემთხვევის ადგილიდან პოლიციამ ამოიღო ყაჩაღების მიერ გატაცებული პისტოლეტი, ორი სანადირო თოფი და ხელყუმბარა „რგდ“.

გიორგი ბარამიძემ ერთხელ კიდევ გამოთქვა აღშფოთება იმის გამო, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დე ფაქტო ხელისუფლება ხელს უწყობს კრიმინალთა თარეშს, შემოსავლის წყაროდ აქვს გადაქცეული კონტრაბანდა და გატაცებული ავტომანქანებით ვაჭრობა. ცხინვალის მხრიდან გადმოსული კრიმინალური ჯგუფები არ ერიდებიან ქართველი სამართალდამცველების სიცოცხლის ხელყოფასაც. შს მინისტრს აუცილებლად მიაჩნია, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უმკაცრესი შეფასება მისცენ სეპარატისტული ხელისუფლების ამგვარ ქმედებას.

შს მინისტრმა, კერძოდ, მოიყვანა ამ დღეებში მომხდარი შემდეგი შემთხვევა.

7 თებერვალს, 01 საათსა და 30 წუთზე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულმა, ერედვის შს განყოფილების სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედმა მორიგე ოპერატიულმა ჯგუფმა შეამჩნია, რომ სოფელ ქსუისიდან ქ. ცხინვალის მიმართულებით მიემართებოდა რამდენიმე ავტომანქანისგან შემდგარი კოლონა: რუსეთის სანომრე რეკვიზიტიან ავტომანქანა „ნივას“ უკან მიჰყვებოდა მოშავო ფერის „ბმვ“ X-5 მოდელის „ჯიპი“, 124-ე მოდელის „მერსედესი“, „უაზის“ მოდელის ავტომანქანა.

შუაღამისას, თანაც შემოვლითი გზით, პრესტიჟული მარკის ავტომანქანების გამოჩენამ, ცხადია, დააეჭვა პოლიციის თანამშრომლები. ამ ხერხით თბილისიდან გატაცებული ავტომანქანები ხშირად გადაჰყავთ ხოლმე ცხინვალში გასაყიდად.

კონფლიქტის ზონაში მოქმედი წესების შესაბამისად, ოპერატიულმა ჯგუფმა სოფელ ერედვის საგუშაგოსთან მიახლოებულ კოლონას ანიშნა, გაჩერებულიყო რეგისტრაციაში გატარების მიზნით. ავტომანქანებში მსხდომნი არ დაემორჩილნენ შეჩერების ნიშანს, სცადეს საგუშაგოს გარღვევა ცხინვალის მიმართულებით, ამასთან, ავტომანქანებიდან გახსნეს ცეცხლი და ააფეთქეს ხელყუმბარები. ოპერატიულმა ჯგუფმა გახსნა საპასუხო ცეცხლი და შესძლო რამდენიმე ავტომანქანის დაზიანება, რის შემდეგაც საგუშაგოდან დაახლოებით 150 მეტრში ნახეს სროლის შედეგად დაზიანებული „მერსედესი“, საიდანაც ცოტა ხნით ადრე ბოროტმოქმედები გადასხდნენ „ნივასა“ და „უაზში“ და მიიმალნენ ცხინვალის მიმართულებით, საგუშაგოდან დაახლოებით 800 მეტრში ნახეს ასევე სროლის შედეგად დაზიანებული „ბმვ“-ს მარკის ჯიპი. დათვალიერებისას ავტომანქანა „მერსედესში“ აღმოჩნდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გასროლილი ვაზნები, ხოლო „ბმვ“-ს მარკის ჯიპში ხელყუმბარა, ავტომატის საბრძოლო ვაზნები და დიდი რაოდენობით სისხლი.

ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ „მერსედესზე“ და „ბმვ“-ზე დამაგრებული სანომრე ნიშნები სინამდვილეში მათ არ განეკუთვნებოდათ.

„ბმვ“-ს რეალური ნომერია № ჯხჯ-007 და იგი ეკუთვნის თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე მცხოვრებ ირაკლი წილოსანს. მისი განმარტებით, ავტომანქანა 29 იანვარს ღამით, ყაჩაღურად გასტაცეს დიღმის მიკრორაიონში უცნობმა პირებმა. დანაშაულის შესახებ მას პოლიციისთვის არ მიუმართავს. „მერსედესის“ რეალური ნომერია ჯოჯ-452 და ეკუთვნის თბილისში, მუხიანის დასახლებაში მცხოვრებ დავით მეფარიძეს, რომლის განმარტებითაც ავტომანქანა 6 თებერვალს, ღამით, ფარულად გასტაცეს ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე ინდივიდუალური საწარმო „ავტოტექმომსახურების“ ავტოსადგომიდან. ამის შესახებ პოლიციაში არც მას განუცხადებია.

ასევე დადგინდა, რომ „ბმვ“-ს მოდელის „ჯიპს“ მართავდა ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისში მცხოვრები ვიქტორ მამიტოვი, ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ასეულის მეთაური, რომელიც, არსებული მონაცემებით, ოპერატიული ჯგუფის მიერ გახსნილი საპასუხო ცეცხლის შედეგად მიყენებული დაზიანებებისაგან გარდაიცვალა ცხინვალის საავადმყოფოში. არიან სხვა დაჭრილებიც, რომელთა ვინაობის დადგენისათვის ტარდება ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებები. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება და სამართალდამცავი სტრუქტურები ამ ფაქტს, სამწუხაროდ, არ გამოხმაურებიან.

მომხდარ ფაქტზე ქართული მხარის ცხინვალის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

გიორგი ბარამიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ შს სამინისტროს შესაბამისი სამსახურები განაგრძობენ სააქციო საზოგადოება „მადნეულისა“ და „კვარციტის“ საქმეების გამოძიებას. აღნიშნა, რომ ამოღებულია 600 კილოგრამი 5 მილიონი დოლარის ღირებულების ოქრო, რომელიც საზღვარგარეთ გასატანად ჰქონდათ გამიზნული.

ვალერიან გოგოლაშვილი.

გამოიცა მოსკოვში

„ლტოლვილი კაცის ყველა საათი მარადისობის ტოლია თითქმის“

ამას წინათ რედაქციაში ჩემი სტუდენტობის მეგობარი დოდო ნარმანია მეწვია და თავისი მეუღლის დავით გაბუნიას მიერ ჩემდამი მოძღვნილი მოსკოვში გამოცემული ლექსების ორტომეული გადმომცა. აფხაზეთის ომამდე ისინი ქალიშვილთან და ვაჟთან ერთად სოხუმში ცხოვრობდნენ. დოდო გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ რედაქციაში განყოფილებას უძღვებოდა, დავითი პროფესიით ფიზიკოსი, სოხუმში ცნობილი პედაგოგი, შოთა რუსთაველის სახელობის № 1 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე იყო.

პროფესია არ განსაზღვრავს მწერლობის, მით უმეტეს, პოეტობის ნიჭსა და უნარს. დავით გაბუნია ჯერ კიდევ სოხუმში ყოფნისას თავის ძირითად საქმესთან ერთად პოეზიასაც უხდიდა ხარკს. მან რვა მშვენიერი ლექსების წიგნი გამოსცა: „იალქანი ქარში“, „მთვარის ხეივანი“, „ასე ირხევა სიმი ყოველი“, „როცა ხეები ჩამოთოვს ფოთოლს“, „ლურჯი მდინარე“, „სიჩუმის აფრები“, „სიშორის ნათლი“ და „გაზაფხულის საგალობელი“. ამ წიგნებში შესული ლექსები ყურადღებას იპყრობს პოეტური ორიგინალობით, აზრისა და მუსიკის ბუნებრივი შერწყმით, რიტმული მრავალფეროვნებით, სამყაროს შეცნობის მძაფრი წყურვილით და უკეთესი მომავლისაკენ რომანტიკული სწრაფვით.

ომისშემდგომ ბუდემოშლილები დოდო და დავითი, სად აღარ ცხოვრობდნენ, ხან ქუთაისში, ხან ბათუმში, ხანაც თბილისში. 1997 წლიდან კი მოსკოვში დაიდეს ბინა. დავით გაბუნიას არც დევნილობაში შეუწყვეტია წერა. მის პოეზიას ნისლივით თან სდევს აფხაზეთის მონატრება, მისი დაკარგვით გამოწვეული სევდა. მან ამას წინათ მოსკოვში გამოსცა პოეზიის ორტომეული: „ზარები ნიქარებში“ და „ფოთოლთცვენის ლანდები“, რომლებშიც ავტორი მკითხველს ახალ და სხვადასხვა წლებში დაწერილ ლექსებს სთავაზობს. ორტომეულში წარმოდგენილი ლექსები გამოირჩევა ფაქიზი პოეტური ქსოვილით, ადამიანური განცდების ღრმა, ემოციური გადმოცემით, ჩრდილ-ნათელის ბუნებრივით მონაცვლეობით, თემატური მრავალფეროვნებით და ცხოვრებისეული მოვლენების მეტაფორული აღქმით.

დავით გაბუნიამ ლექსი „გაზაფხულის მზე მოვა“ სწრაფი რეაგირების ძალების მეთაურს თემურ გაბუნიას უძღვნა, რომელმაც გადამთიელებთან ბრძოლაში მძიმედდაჭრილმა ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია და ხელყუმბარით თავი აიფეთქა:

...„მეძახდა ცხრა ძმის სული უდრეკი,
რომელიც ცაში ვეღარ ეტევა,
მტერს მტრულად გზაზე გადაუდექი,
მოიგერიე ყველა შეტევა.
თავისუფლების მოდგა აზრდილი
და ეს სამშობლოს იგრძნეს ხედებმა,
სისხლში ცურავდი მძიმედ დაჭრილი,
სად სამომავლოდ მზე იხედება.
მომხვდურმა ხელმა ვერ დაგამარცხა,
თვითონ სიკვდილი შედრკა, გაფითრდა,
ხორცი მიუგდე ყორანს მამაცმა
და სული სადღაც ცაში გაფრინდა...
გულიდან ცხელი სისხლი აწვიმე
და გმირთა რიგში ჩადექ თამამად,
დღეს ფრთებს იმრთელებს ვაჟას არწივი,
და ცაში ისევ შეჰკრავს კამარას!“

ხოლო ლექსში „ვედრება“ პოეტი ღმერთს შესთხოვს:

„ჩემს ტანჯულ მხარეს
მხოლოდ შენი ფრთები უფარე,
აგვინთე სივრცე ვარდებით და იასამანით!
შენ გადმოგვხედე
მოწყალების თვალით, უფალო,
და იხსენ მიწა თვით
ქართლოსის ცრემლით ნაბანი“.

ლექსს „რად შეჩერდა საათი?!“ წამძღვარებული აქვს რაფაელ ალბერტის სიტყვები: „ლტოლვილი კაცის ყველა საათი მარადისობის ტოლია თითქმის“. პოეტს სულს უფორიაქებს საკუთარ მამულში ხიზნობა და გამოსავალს ეძებს.

ორტომეული ყურადღებას იპყრობს საუცხოო დიზაინითა და ხარისხიანი გამოცემით. წიგნები დასტამბა მოსკოვის ქართული სათვისტომოს გამომცემლობამ. მთავარი რედაქტორია როინ კონჯარია, რედაქტორი დოდო ნარმანია, ოპერატორი, კორექტორი და დამკაბადონებელი — კარინა წიკლაური.

პოეზიის მოყვარულები დავით გაბუნიას ორტომეულს ინტერესით გაეცნობიან.

ბელა დურგლიშვილი.

კრივი

ყველა გზა — ათენისკენ

— ტყავის ხელთათმნის ქართველმა ოსტატებმა ევროპის 2004 წლის პირადგუნდური ჩემპიონატისათვის მზადება დაბა ბაკურიანში საერთო ფიზიკური მომზადებით დაიწყეს, — გვითხრა საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კიკნაველიძემ.** 27 იანვარს ნაკრები გუნდის კანდიდატები დედაქალაქში დაბრუნდნენ და ამჟამად თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო, ძმები დუნდუების სახელობის გლდანის კრივის სპეციალიზებულ დარბაზში აგრძელებენ წვრთნას.

კონტინენტის ჩემპიონატისათვის მზადების მეორე ეტაპზე ჩვენი სპორტსმენები მთავარ ყურადღებას ტექნი-

კური ილეთების დახვეწას უთმობენ. მუშავდება ტაქტიკური სიახლეებიც.

კრივის მოყვარულებს მოვახსენებთ, რომ კროაციის პატარა ქალაქ პულას რინგზე 11 წონის ნაცვლად, ჩვენი ტყავის ხელთათმნის ოსტატები მხოლოდ 8 წონაში ეცდებიან ელადის თამაშების ლიცენზიების მოპოვებას. მწვრთნელთა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ევროპულ რინგზე არ გაიყვანოს მონაწილენი 48, 81 და 91 კილოგრამ წონით კატეგორიებში, რადგან მათი მომზადების დონე არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. კმაყოფილი დავრჩებით თუ ქართველი მოკრივეები, პულას რინგზე 3-4 ლიცენზიას მოიპოვებენ, რაც ერთობ ძნელია. ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი პულაში 18 თებერვალს აიღებს სტარტს და 1 მარტამდე გაგრძელდება. ათენის XXVIII ასპარეზობათა საგზურებს მიიღებენ ის სპორტსმენები, რომლებიც აქ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს დაისაკუთრებენ. გვინდა ვირწმუნოთ, რომ მათ შორის საქართველოს წარმომადგენლებიც იქნებიან.

შალვა ჩიხლაძე.

ტაისონი რინგზე, სავარაუდოდ, მაისში დაბრუნდება

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და სკანდალურად ცნობილი სპორტსმენი მაიკ ტაისონი, წელიწადზე მეტი ხნის შესვენების შემდეგ, რინგზე დაბრუნებას აპირებს. როგორც მოკრივის მენეჯერმა შელი ფინკელმა განაცხადა, „რკინის მაიკი“, რომელიც უკვე შეუდგა მსუბუქ ვარჯიშებს, დარწმუნებულია, რომ რინგზე გასვლას უკვე მაისში შეძლებს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ბრძოლა 37 წლის ამერიკელმა მოკრივემ შარშან თებერვალში გამართა თანამემამულე კლიფორდ ეტიენთან, რომელიც 50 წამში გაგზავნა ნოკაუტში.

მენეჯერმა ისიც აღნიშნა, რომ სუპერმძიმე წონაში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის მეტოქე ჯერაც არაა ცნობილი, თუმცა იგი ნამდვილად არ იქნება როი ჯონს-უმცროსი, რომელთან რინგზე შეხვედრას ტაისონი მომავალში აპირებს.

პირველ პრეტენდენტად რჩება ბეიბი ჯო მეზი, რომლის წარმომადგენლები ჯერ კიდევ დეკემბერში დათანხმდნენ „რკინის მაიკთან“ მეზის ორთაბრძოლაზე, თუმცა წამოაყენეს ერთი პირობა — შერკინება უნდა გაიმართოს ბაფალოში, რალფ ვილსონის სტადიონზე. ეს არენა განკუთვნილია ამერიკულ ფეხბურთში მატჩებისათვის, მაგრამ მოკრივეთა ბრძოლისთვის დროებით გადაკეთდება.

იგეგმება, რომ ადგილები სტადიონზე, რომელიც 73 000 კაცს იტევს, ორჯერ შემცირდება. რასაკვირველია, 35 ათასი ადგილიც იოლი შესავსები არ არის, მაგრამ კრივის საზომებით, იგი მეტისმეტად დიდია. როგორც ორგანიზატორები თვლიან, მსოფლიოში მხოლოდ სამ მოკრივეს ძალუძს ასეთი რაოდენობის მაყურებლის მიზიდვა. ტაისონი მათ რიცხვშია.

ვიტალი კლიჩკო ლუისის დაბრუნებას წინასწარმეტყველებს

სუპერმძიმე წონაში მსოფლიო კრივის საბჭოს (WBC) ვერსიით შავკანიანმა ბრიტანელმა ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა რინგი დატოვა ამ საბჭოსა და ამერიკული

ტელეარხის HBO-ს ზეწოლის შედეგად. — ასეთი აზრი გამოთქვა, ამ წონაში ბოლო წლების უძლიერესი მოკრივის წასვლაზე უკრაინელმა ვიტალი კლიჩკომ, რომელიც ახლა მსოფლიო ჩემპიონის გათავისუფლებულ ადგილზე მთავარი პრეტენდენტი გახდა.

ვიტალი კლიჩკოს სიტყვებით, ლუისის წასვლა იოლად გასაგებია, მაგრამ მის მოქმედებებში ლოგიკა ყოველთვის არაა იოლი ამოსაცნობი. „ლენოქსმა რინგის დატოვების გადაწყვეტილება სპონტანურად კი არ მიიღო, არამედ იმიტომ, რომ ჩიხში მოექცა სიტუაციაში ბრძოლის გამო, რომლისთვისაც მზად არ იყო (ცნობა იმის შესახებ, რომ მეტოქემ ტრავმა მიიღო და მას კლიჩკო შეცვლიდა, ბრძოლამდე ორი კვირით ადრე მიუვიდა).

ლუისმა უპასუხოდ დატოვა რამდენიმე შეკითხვა, კერძოდ: რატომ განაგრძო გამოსვლები ლენოქსმა ამერიკელ მაიკ ტაისონთან გამარჯვების შემდეგ? ეს ხომ ყველაზე კულმინაციური მომენტი იყო მის კარიერაში! ასე დიდხანს რატომ ფიქრობდა ლუისი გამოსვლების დამთავრებაზე? ნუთუ მსოფლიო ორგანიზაციის ზეწოლა იყო საჭირო საბოლოო გადაწყვეტილებისთვის? შეიძლება დავსვათ მრავალი რიტორიკული შეკითხვა“, — განაცხადა კლიჩკომ.

იგი დარწმუნებულია, რომ ტაისონთან ბრძოლის შემდეგ გამოსვლების გაგრძელების ძირითადი მიზეზი იყო მატერიალური მხარე — ჯონსონი არ გახლდათ დიდად სახიფათო ლენოქსისთვის, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი: ორთაბრძოლამდე ორი კვირით ადრე ჯონსონმა ტრავმა მიიღო და მსოფლიო ჩემპიონი დადგა არჩევანის წინაშე — ან უარი უნდა ეთქვა ბრძოლაზე და ფული დაეკარგა, ან კლიჩკოსთან ეჩხუბა, რომელიც, ექსპერტების აზრით, ასევე არ წარმოადგენდა დიდ საშიშროებას. სინამდვილეში ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც „ლუისის გუნდი“ ვარაუდობდა, თუმცა კლიჩკოსთან ლუისის შეხვედრა მისი გამარჯვებით დასრულდა, ქულებით იგი დამარცხდა.

კლიჩკოს თქმით, „ლუისთან მისი მეორედ შეხვედრისადმი ინტერესმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. HBO-ს ხელმძღვანელობა მზად იყო, ლუისის ფინანსური მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა — გადაეხადა 20 მილიონი დოლარი, — აღნიშნა მან. — უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკებანი ორთაბრძოლის გამართვის დროსა და ადგილზე, მაგრამ ყოველივეს წერტილი დაუსვა ლენოქსის უარყოფითმა ვერდიქტმა, რაც არალოგიკურია“.

ამის მიუხედავად, კლიჩკოს მაინც სჯერა, რომ ლუისი საბოლოოდ გამოეთხოვოს დიდ სპორტს იმ ორთაბრძოლის დამთავრებისთანავე, პირდაპირ რინგზე, ლენოქსმა პირადად ვიტალის განუცხადა, რომ თანახმაა მატჩ-რევანშზე. თუმცა, უკრაინელის თხოვნა, რომ პირდაპირ ტელეკამერების წინ ეთქვა ამის შესახებ, მან არ დააკმაყოფილა.

„ვფიქრობ, ჯერ ნაადრევია მთელი ამ ისტორიისთვის წერტილის დასმა, — დაასკვნა კლიჩკომ, — ბევრი სპორტსმენი კარიერის ოფიციალურად დამთავრების შემდეგ კვლავ უბრუნდება რინგს. ასე რომ, ლუისს შეუძლია შეასრულოს სიტყვა, რომელიც მომცა ჩვენი უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ“.

შენც, ფორმენ?

როგორც ჩანს, სუპერმძიმე მოკრივეთათვის მსოფლიო ჩემპიონის დაცარიელებული ტახტი, რაზეც უარი თქვა ლენოქს ლუისმა, ბევრს განაწყობს იმედიანად. მათ შორის აღმოჩნდა კრივის ვეტერანი ჯორჯ ფორმენი, რომელმაც თავისი უკანასკნელი ბრძოლა გამართა... 7 წლის წინათ.

ფორმენის განცხადებით, მან აქტიური წვრთნა დაიწყო იმისთვის, რომ ამდენი ხნის შემდეგ პირველი ორთაბრძოლა გამართოს და, არც არის გამორიცხული, იგი უკანასკნელი იქნება. ჰიუსტონის ერთ-ერთი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ფორმენმა დააზუსტა, რომ წვრთნას შეუდგა 10 იანვარს, იმ დღეს, როდესაც მას შეუსრულდა... 55 წელი. „ვმუ-



შაობ იმისთვის, რომ ავეიდგინო საბრძოლო წონა, ამ მომენტისთვის უკვე 12 კილომდე დავიკელი“, — თქვა ფორმენმა.

შეგახსენებთ, რომ ჯორჯ ფორმენი რინგზე არ გამოსულა მას შემდეგ, რაც 1997 წელს წააგო ბრძოლა შენონ ბრეგსთან. ფორმენის თქმით, ისინი, ვინც ახლა რინგის მეფედ თვლიან თავს, მას სასაცილოდაც არ ჰყოფნის. „ბევრნი მეუბნებიან, რომ არ ღირს რინგზე ჩემი კვლავ გამოსვლა, მაგრამ ასეთი სიტყვები მესმის 19 წლიდან და ყოველთვის ვცდილობ, დავამტკიცო საპირისპირო, — აღნიშნა ფორმენმა.

კარიერის მანძილზე მან 81 ბრძოლა გამართა, რომელთაგან 76 მოიგო, მათ შორის 68 ვადაზე ადრე — მეტოქენი ნოკაუტში გაისტუმრა.

ამერიკელი მოკრივე იყო 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, აგრეთვე, მძიმე წონაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი 1973 და 1974 წლებში. 1977 წელს ფორმენმა დატოვა სპორტი , ათი წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდა დიდ რინგზე და ზედიზედ 24 ბრძოლაში გაიმარჯვა. 1994 წელს ფორმენი გახდა ყველაზე ხანდაზმული, ვინც მოიპოვა ჩემპიონთა ტიტულები WBA და IBF ვერსიებით.

როგორც ირკვევა, ახლა უკვე უპატრონო ტახტის დაუფლებას ორი ვეტერანიც გეგმავს: „რკინის მაიკი“ და ჯორჯ ფორმენი.

ანდრო ბარძაია.

ყოველი მხრიდან



რუსეთელების ტრიუმფი

ობერჰოფში ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე რუსეთელების ტრიუმფით დამთავრდა 15 კილომეტრზე კლასიკური რბოლა — დიდების კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა ოქროს მედლით მკერდდამშვენებულმა სოლტ-ლეიქ-სიტის ოლიმპიადის ჩემპიონმა ოლგა პილევამ. ვერცხლის მედალი მოიპოვა ალბინა ახატოვამ, მესამე ადგილზეა უკრაინელი ელენე პეტროვა.

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი ოლგა პილევა.

„სკამთაცვენა“ ტუნისში

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ახლა „შავ კონტინენტზე“ მიმდინარეობს 2004 წლის აფრიკის თასის გათამაშება, რომელსაც ტუნისი მასპინძლობს.

აფრიკული ფეხბურთის დღესასწაულმა“ დიდი საზრუნავი გაუჩინა ტუნისელ სამართალდამცველებსაც. მეოთხედფინალურ მატჩში, სადაც ალჟირისა და მაროკოს ნაკრებები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ალჟირელი გულშემატკივრების მიერ პროვოცირებულ აყალმაყალში 69 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 51 ალჟირელი (რომელთაგან უმრავლესობა ჰოსპიტალში მოხვდა) და 14 პოლიციელი, სამედიცინო დახმარება დასჭირდა 3 ტუნისელ გულშემატკივარსა და ერთ მაროკოელსაც. ისინი მაშინ დაიჭრნენ, როდესაც სტადიონის ალჟირული სექტორიდან სკამებისა და ქვების სროლა დაიწყეს. „სკამთაცვენა“ ატყდა მატჩის დამატებით მეოთხე წუთზე, როდესაც მაროკოელებმა ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ კი წინ გავიდნენ.

მატჩის შემდეგ „უდაბნოს მელიების“ ასეთი დრამატული დამარცხებით გამწარებულმა ფანატებმა დაიწყეს სტადიონის მახლობლად გაჩერებული მანქანებისა და მაღაზიების ვიტრინების მსხვრევა, ამტვრევდნენ საგზაო ნიშნებს, სკვერებში ძირ-ფესვიანად გლეჯდნენ ნარგავებს, მაღაზიებში აღარ იხდიდნენ ნავაჭრის ფულს.

სასაზღვრო ქალაქ ტიბესეში კი სამასამდე ალჟირელმა დაარბია ტუნისის საკონსულო და ჩამოხსნა ტუნისის დროშა.

* * *

მეორე მეოთხედფინალურ მატჩში კი, რომელშიც ტუნისისა და სენეგალის ნაკრებები მონაწილეობდნენ, სენეგალელი ელ-ჰაჯი დიუფი მივარდა შეხვედრის მსაჯს ბუისაიმს და ალბათ, სცემდა კიდეც, პარტნიორებს რომ არ გაეკავებინათ. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა მსაჯმა ტუნისელთა გოლი ჩათვალა. აღშფოთებული სენეგალელების აზრით, მან შეცდომა დაუშვა, რადგან ყურადღება არ მიაქცია დიუფის მიმართ წესების დარღვევას. მინდორზე გამოცვივდნენ „ტერინგის ლომების“ წარმომადგენლები, რისთვისაც სასწრაფოდ შეკრებილმა აფრიკის თასის საორგანიზაციო კომიტეტმა, რომლის სხდომაშიც მონაწილეობდა აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი ისაა აიიატუ, სენეგალის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ორ თანაშემწესა და ექიმს ერთი წლით აუკრძალეს მატჩების დროს მწვრთნელთა სკამზე გამოჩენა.

მკაცრად დასაჯეს სენეგალელთა ვარსკვლავი დიუფიც. ის დისკვალიფიცირებულია სამი შესარჩევი მატჩით თასის მორიგ გათამაშებაზე, ისინი კი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებიც უნდა იყოს.

ამავე დროს 500 დოლარით დააჯარიმეს ტუნისის ფეხბურთის ფედერაცია, რადგან ფორვარდმა ქაზირიმ შეაგინა აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის წარმომადგენლებს.

ფეხბურთელი მაისურის საფასურად?

სწორედ ასე უპასუხეს ჰოლანდიის პსვ-ს მესვეურებმა ინგლისის კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობის წინადადებას მათთვის არიენ რობენის მიყიდვის თაობაზე. „ეს ციფრი აბსოლუტურად არ შეესაბამება ფეხბურთელის საბაზრო ღირებულებას, — განაცხადა სპორტული საზოგადოების „ფილიპსის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ჰარი ვან რაეიმ, — ამ ფასად მანჩესტერელები მხოლოდ რობენის მაისურს თუ მიიღებენ“.

თავი დაისაჩუქრა!

ბულგარული ფეხბურთის ლეგენდამ ხრისტო სტოიჩკოვმა დაბადების დღეზე თავი დაისაჩუქრა... ოთხადგილიანი ვერტმფრენით. ამ დღეებში ხრისტო 38 წლის გახდა. სტოიჩკოვი ესპანეთის ბარსელონადან, სადაც ახლა ცხოვრობს, ავტომანქანით გაემგზავრა მონაკოში და შეიძინა „ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი საჩუქარი“. თუმცა, თუ რა დაუჯდა ის, ფეხბურთის „ვარსკვლავი“ არ ამჟღავნებს. ის კი განაცხადა, რომ მას მხარი დაუჭირეს ქალიშვილებმა ქრისტინამ და მიხაელამ, რომლებიც ჩიკაგოში სწავლობენ.

ახლა სტოიჩკოვი, რომელსაც არასოდეს უცდია პილოტობა, ეძებს გამოცდილ და საიმედო მფრინავს.

დევისის თასის ლიდერები

ლონდონში გამოქვეყნდა ჩოგბურთში დევისის თასის რეიტინგი 11 თებერვლისთვის. იქ ადგილები ასე განაწილდა (ფრჩხილებში მითითებულია ადრინდელი ადგილები): 1 (1) **ავსტრალია** — 29750 ქულა; 2 (2) **საფრანგეთი** — 24 500; 3 (4) **ესპანეთი** — 20000; 4 (3) **რუსეთი** — 18661,25; 5 (5) **არგენტინა** — 13130; 6 (6) **შვეიცარია** — 11 257,81; 7(7) **აშშ** — 8817,5; 8 (8) **შვედეთი** — 8312,5; 9 (9) **ჰოლანდია** — 6750; 10 (14) **ბელორუსია** — 2992,5.

კალათბურთი

გუშინ ვერის ბაღში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა XIII ეროვნული ჩემპიონატის მე-3 წრის მორიგი მატჩი. თბილისის „დინამომ“ 147:53 ქუთაისს სძლია.

ცინცხალი ამბები

1980 წელს ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ჰოკეისტების კარში მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე აშშ-ს ნაკრების კაპიტანმა მაიკ ერუზიონმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ამერიკელებმა ორთაბრძოლას სწორედ ამ გოლით დაუსვეს წერტილი. „შაიბა“ მაყურებლებში გაფრინდა და მისი მფლობელი ამერიკელი გახდა. შარშან ამერიკელმა მარკ ფრიდლენდმა სწორედ ეს „შაიბა“ აუქციონზე 13 200 დოლარად შეიძინა. მას გადაეცა ყოველგვარი დოკუმენტაცია, რაც ამ ნივთის ფასეულობას ადასტურებდა. წლეულს მარკმა გადაწყვიტა ეს რელიკვია გაეყიდა. აუქციონზე მისმა საწყისმა ფასმა 95 ათას დოლარამდე აიწია.

* * *

დევისის თასის გათამაშება ჩოგბურთში უნიკალური სიახლით შეივსო — ოფიციალურ საიტში გაჩნდა ვებ-გადაცემის ელემენტები. მსოფლიოს რვავე საჩოგბურთო კორტებზე მიმდინარე მატჩების დამსწრეთ საშუალება ეძლევათ ეკრანზე ნახონ ბურთის ტრაექტორია და ფრენის სიჩქარე. ეს განახორციელა კომპანია IBM-მა, რომელთანაც დიდი მუზარადის ოთხივე ტურნირის ხელმძღვანელები თანამშრომლობენ. ამჯერად შესაძლებელი გახდა ჩოგბურთის მატ-

ჩების იმგვარად ჩაწერა, როგორც ეს ჭადრაკში ხდება.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

კუკური გელაშვილი და მისი მეუღლე ლამარა ქორქოლიანი შვილიშვილებთან მაკა და ლამარა გელაშვილებთან ერთად. 1984 წ.

მოგვაწოდა ლამარა გელაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

ამბობენ, მართალია?



სკოლების პრივატიზაცია დაუშვებელია

ამბობენ, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებს პრივატიზაცია ელის.

„სრ“ რედაქციამ დაადგინა, რომ მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების პრივატიზაცია დაუშვებელია. ასე გვიპასუხეს საქართველოს განათლების სამინისტროში.

მშენებლობაში ბევრი ფული ტრიალებს

თბილისი გადაიჭედა ახალი ბინათმშენებლობებით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე წამოჭიმულ სახლებს ან ყიდულობენ ან ყიდიან.

„სრ“ რედაქციამ გაარკვია, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მშენებლობის პროდუქციის ფაქტობრივი მოცულობა, ბოლო წლების განმავლობაში ორჯერ და მეტად აღემატება ოფიციალურად დეკლარირებულ მაჩვენებლებს. შესაბამისად, ბიუჯეტსაც სერიოზული თანხები აკლდება.

მუზობიარობა უფასოა

ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ მეანობის პროგრამას სახელმწიფო აფინანსებს, დუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში მაინც ფულს ახდევინებენო.

„სრ“ კომენტარი: როგორც დუდუშაურის ცენტრში ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს, მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა (1600 მშობიარედან). იგივე დაადასტურეს ცენტრის ვესტიბიულში მომლოდინეებმაც, — დარეჯან თეთრაშვილმა (სოფელ დიღმიდან), დიანა ადოიანმა (თბილისიდან) და სხვებმა.

ყველაზე საუკეთესო გოგირდოვანი წყალი

ამბობენ, რომ თბილისში, კიევის ქუჩაზე 1956-58 წლებში აშენებულ შპს „მეჯუდას“ გოგირდის აბანოში გოგირდის წყალი აღარ არის და ხალხი ჩვეულებრივი წყლით ბანაობსო.

„სრ“ რედაქციამ გაარკვია, რომ აქაურ გოგირდის სამკურნალო თერმული (ბუნებრივი) წყლის აბანოში, რომელსაც მიხეილ სრესელი განაგებს, კვლავ მუშაობს და წყლის მარაგი გრიბოედოვის ძეგლის ქვემოთ, 700-ტონიანი ბუნებრივი აუზიდან ამოდის. თბილისში ყველაზე საუკეთესო გოგირდოვანი წყალი ამ აბანოში მოედინება.

მოარული ხმა დადასტურდა

ამბობენ, რომ აპრილიდან თბილისში ტელეფონის სააბონენტო გადასახადი მოიმატებსო...

„სრ“ რედაქციას სააქციო საზოგადოება „საქართველოს ელექტროკავშირის“ დირექტორის მოადგილემ მერაბ კანკავამ უპასუხა, რომ ამჟამად მიმდინარეობს კოორდინატური სადგურების შეცვლა ციფრული ტიპის სადგურებით. გადართვების დასრულების შემდეგ, აპრილიდან, 1 ლარით გაიზრდება გადასახადი მხოლოდ იმ აბონენტთათვის, რომელთა ინდექსი 3 და 51-ია.

მწერალთა ყრილობა არ გადადებულა

ამბობენ, საქართველოს მწერალთა კავშირის 27 თებერვალს დანიშნული ყრილობა გადაიდო.

როგორც მწერალთა კავშირის მდივანმა მაყვალა გონაშვილმა გვითხრა, ეს ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება. მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის ყრილობა 27 თებერვალს გაიმართება.

ეს ხმები უსაფუძვლოა

ამბობენ, რომ მეტრო „დიდუბესთან“ არსებული ბაზარი იხურება და სხვა ადგილზე გადააქვთო.

ჩვენმა კორესპონდენტმა ეს საკითხი გაარკვია ბაზრის დირექტორ ტრისტან დვალთან: ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნია ბაზრის გადატანის თაობაზე. ჯერჯერობით, ჩვეულებრივად ვმუშაობთ.

5 ჰექტარამდე მიწის გადასახადი გაუქმდა

ამბობენ, რომ მიწის გადასახადი არ უნდა გადავიხადოთ.

„სრ“ მიერ მოპოვებული დაზუსტებული ინფორმაციით, 1 იანვრიდან გაუქმდა ფიზიკური პირის საკუთრებაში ხუთ ჰექტარამდე არსებული სასოფლო-სამეურნეო პრივატიზებული მიწის გადასახადი. ასე რომ გლეხთა აბსოლუტურ უმრავლესობას მიწის გადასახადი გაუუქმდა.

ღიმილის დოზა

ჩანაწერი სამედიცინო ბარათში: „ფსიქიკური დაავადება არ აღენიშნება. უბრალოდ, — სულელია.

* * *

რეკავს ტელეფონი:

— გამარჯობათ, თქვენი მეზობლები ვართ.

— სასიამოვნოა, რამ შეგაწუხათ?

— თქვენი საპირფარეშო მუშაობს?

—დიახ, მუშაობს...

— მაშინ ჩემს სტუმრებს თქვენთან გამოვაგზავნი.

* * *

რაჭველების ავიაკომპანიის რეკლამა: „ჩვენ მატარებლებზე ჩქარა დავფრინავთ“!

* * *

— **ჩემი** პალსტუხი გაჩვენებთ გზას, საითაც უნდა წახვიდეთ!

* * *

თუ თქვენი ოჯახის კატლეტის გემო არ მოგეწონათ: გამოცვალეთ ტაფა. თუ ამან არ უშველა, უკეთესი ხარისხის ხორცი იყიდეთ ან შეამცირეთ პურის წილი ფარშში. თუ ამასაც არავითარი გაუმჯობესება არ მოჰყვა, ან პირის გემო შეიცვალეთ, ან ცოლი გამოცვალეთ.

* * *

— **მთელი** ღამე ძილს ვებრძოდი.

— მერე?

— მერე ის, რომ 8 საათი გამოვგლიჯე.

* * *

როცა კარგად დანაყრდები, შეიძლება დროებით საჭმელზე არ იფიქრო.

როცა კარგად იმუშავებ, მუშაობაზე შეიძლება დროებით არ იფიქრო.

არის შემთხვევები, როცა ქალებზეც შეგიძლია დროებით არ იფიქრო.

მაგრამ თუ კარგად დალიე, დიდი ხნით შეგიძლია დაივიწყო საჭმელიც, სამუშაოც, ქალებიც და საერთოდ ყველაფერი, რაც დალევაში ხელს შეგიშლის.

* * *

როგორ იცვლება ჩვეულება! თუ პირველივე პაემანის შემდეგ გოგო გეტყვის „აუცილებლად დამირეკე!“, ეს ნიშნავს, რომ იგი თავისი მობილური ტელეფონის ფულს ზოგავს.

გამოფენა

მიემღვნა ვარდების რევოლუციას



სურათების ეროვნული გალერეა მხატვარ ზაალ ბაჩანაშვილის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობდა.

მხატვარმა საზოგადოების წინაშე 200-მდე ნამუშევრის რეტროსპექტივა წარმოადგინა, რომელიც ვარდების რევოლუციას მიუძღვნა.

შემოქმედის ხელწერა მრავალფეროვანია, იგი კომპოზიციის შექმნის დიდოსტატია, რაც ერთმა გამომსვლელმა აღნიშნა გამოფენის გახსნისას; მისი ნამუშევრები, როგორიცაა „ხანგრძლივი წყვდიადი“, „მუდმივი თანამგზავრი“, „სევდიანი ნათელი დღეები“, „პორტრეტები“, „ოცნება და რეალობა“, „ღამეული სტუმარი“, „იდუმალი საიდუმლო“ სწორედ ის ნახატებია, რომელშიც ჩანს ავტორის დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

თავად ხელოვანიც მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით მოგვითხრობს:

— აქ წარმოდგენილი ნამუშევრები მთელი ჩემი ცხოვრებაა, ის ტკივილი, რწმენა, ოცნება, რასაც განვიცდი შინაგანად, სიღრმისეულად, მე ჩემი საქმე კარგად მესმის, — ამას თამამად ვამბობ, — ვაკეთებ იმას, რაც ჩემშია, მე განვიცდი ქვეყნის ცხოვრებას და ეს კიდეც ჩანს ჩემს ქმნილებებში. ეს გამოფენა — „ვარდების რევოლუციაც“ ამის დასტურია. ამ დღეებს დაემთხვა ჩემი საიუბილეო თარიღიც, და საერთოდ, პრეზიდენტის კურთხევის შემდეგ ამ გალერეაში ეს გამოფენა პირველია.

ჩემი ბოლო ნამუშევარია სერია „ხანგრძლივი წყვდიადი“, იმ ნახატების ქვეშ ჩემი ავტოპორტრეტია, რაც სიმბოლურია — ამით განზოგადებულია, თუ როგორ ცხოვრობს ხელოვანი — ეს ჩემი შემოქმედების პათეტიკაა. აქ წარმოდგენილია 30 წლის მანძილზე შექმნილი ნამუშევრები (გრაფიკა, ფერწერა), — აღნიშნა მხატვარმა.



მხატვარი ყოველგვარი შენილბვის გარეშე გამოთქვამს სათქმელს, მისი თხრობის მანერა მკაფიო და ლაკონურია — თითოეულ ნახატში კარგად ჩანს, რომ მისი ფანტაზია დაუშრეტელია.

ლიკა შონია.

სურათზე: ზაალ ბაჩანაშვილი და მისი ნამუშევრები.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ხსოვნა

ავთანდილ გაფრინდაშვილი

დაუჯერებელია წარმოდგენა იმისაც კი, რომ ჩვენს რიგებში აღარ არის ყველასგან გამორჩეული, ინტელიგენტი, პოეტი და ჟურნალისტი, კარგი მეოჯახე და მეგობარი **ავთანდილ ვიქტორის ძე გაფრინდაშვილი.** 54 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

საქართველოში ახალი ეპოქის დაწყების მხოლოდ ორმოციოდე დღე არგუნა არსთა გამრიგემ. ის სულით ხორცამდე იყო გაჯერებული ხვალინდელი დღის იმედით, უკეთესი მომავლის რწმენით, რასაც მისი ოჯახური, ადამიანური ბედნიერება უნდა უზრუნველეყო. სწორედ ამ რწმენით ატარა მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება. იგი იყო სპეტაკი სულის, უანგარო და ზნეობრივად ამაღლებული პიროვნება.

მართლაც რომ სამაგალითო ცხოვრების გზა განვლო ბატონმა ავთანდილმა. დაიბადა 1949 წლის 19 დეკემბერს ყვარლის რაიონის სოფელ ბალღოჯიანში და რვაწლიანი სკოლაც აქ დაამთავრა, შემდეგ ლელიანის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე გაასრულა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

უნივერსიტეტის კედლებში უმალ გამოჩნდა ავთანდილის პოეტური ნიჭი და შემოქმედის სახელი დაიმკვიდრა. მისი ლექსები სილაღით, რეალობით, მომხიბვლელობით არა მარტო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, არამედ დედაქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს ხიბლავდა.

ავთანდილის ნიჭიერების მოტრფიალე უნივერსიტეტი ყოველნაირად შეეცადა მისთვის სამეცნიერო შემოქმედებითი ასპარეზის შექმნას, მაგრამ მოხუცი მშობლების გაჭირვებამ და სოფლის სიყვარულმა იგი რაიონში დააბრუნა.

1972 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგზურით, მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებას მიაკითხა.

განუზომელია ავთანდილ გაფრინდაშვილის ღვაწლი და დამსახურება არა მარტო ჟურნალისტიკის, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში, რომელთა წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი მოახმარა.

1973 წელს გაზეთ „ყვარლის“ რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად დააწინაურეს... 80-იან წლებში ავთანდილი გადაჰყავთ პარტიის რაიკომში ინსტრუქტორის თანამდებობაზე, შემდგომ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ აწინაურებენ. ავთანდილი თავისუფალ ჟურნალისტურ მოღვაწეობას იყო ჩვეული და რაიკომის რეგლამენტირებულ საქმიანობას ვერ შეეგუა. შემდგომში, დაწინაურების ნაცვლად რედაქციაში დაბრუნება არჩია. იგი ორ ათეულ წელზე მეტხანს იყო გაზეთ „ყვარლის“ რედაქტორი. ჩვენი ცხოვრების მანკიერებათა მხილებით, საქმიანი წერილებით შესაძლებელი გახადა მოსახლეობისთვის ყველაზე საინტერესო და საყვარელ გაზეთად ქცეულიყო „ყვარელი“.

ბოლო წლებში ავთანდილი რაიონის გამგებლის მოადგილე იყო და ურთულეს — კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროებს კურირებდა.

ყველა უბანზე ის სანიმუშო საშემსრულებლო დისციპლინით გამოირჩეოდა. უშურველად ეხმარებოდა გაჭირვებულ ადამიანებს ფეხზე წამოდგომაში.

და მაინც, განსაკუთრებული თვისება, — პიროვნული ღირსება, მშვიდი, დარბაისელი, იუმორით შემკული, ენატკბილი თამადა, უებრო მეგობარი, მარად მხარში მდგომი, სხვისი მოჭირნახულე და საკუთარ ჭირთამთმენი. იგი უდავოდ კოლორიტი პიროვნება იყო.

უსაზღვროა გულისტკივილი, ამ ქვეყნიდან შენი ნაადრევად წასვლის გამო. თუმცა, ამბობენ — ღმერთსაც შენნაირი სპეტაკი ადამიანები ურჩევნიაო.

ალალი იყოს შენთვის ბალღოჯიანის მადლიანი მიწა.

ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს შენი სპეტაკი სული.

მეგობრები.

სიახლე

როდის არ არის მძღოლი დამნაშავე?

ამ დღეებში თბილისში კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციის — „პოლიციელი, მძღოლი, სამართალი“, სომხეთის მძღოლთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია „ახილის“ და „აზერბაიჯანის მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვის ლიგის ხელმძღვანელები“, რათა პრაქტიკულად განესაზღვრათ მათი გაერთიანების, „დაძმობილების“ მთავარი მიზანი — სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მძღოლთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მეთოდები რეგიონის გზებზე.

ბუნებრივია, როცა რეგიონი უმნიშვნელოვანესია, ხოლო საქართველო ევრაზიის დერეფნის და აბრეშუმის გზის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა, უდიდესი ეკონომიკური (პოლიტიკურიც!) მნიშვნელობა ენიჭება სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან (რა თქმა უნდა, პირიქითაც, — ევროპიდან და რუსეთიდან, საქართველოს გავლით, სომხეთ-აზერბაიჯანისკენ) მოძრავი ტვირთების ცივილიზებულ ნორმებში, შეუფერხებლად გადაადგილებას.

საქართველოს ორგანიზაციას ხელმძღვანელობს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, გონიერი და ენერგიული კაცი რობერტ იანტბელიძე.

სომხური „ახილის“ თავკაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ისტორიაზე უზომოდ შეყვარებული კაცი ვლადიმერ კაზარიანი.

აზერბაიჯანის ლიგის ლიდერია პრინციპული და ენერგიით სავსე ახალგაზრდა კაცი საიბ მამედოვი.

საერთაშორისო პროექტი, — „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამართალდამცავი ორგანიზაციების თანამშრომლობა მძღოლთა უფლებების დაცვის ეფექტური მეთოდი რეგიონის გზებზე“, — წახალისებულია საერთაშორისო ფონდ „ევრაზიის“ მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით.

სწორედ საერთაშორისო ფონდი აფინანსებს ამ უაღრესად საჭირო წამოწყებას, რომლის მთავარი მიზანი მძღოლთა სამართლებრივი განათლების ამაღლებაა.

სხვათა შორის, მეზობელ სომხეთში და აზერბაიჯანში ამ ორგანიზაციებში უკვე ათასობით მძღოლია გაერთიანებული და ერთი სული აქვთ, როდის დადგება ის დრო, როდესაც საქართველოს საზღვართან, საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე უმიზეზოდ არ დააყოვნებენ და მერე, გზადაგზა, ოდენ ფულის გამოძალვის მიზნით არ გააჩერებენ.

აი, სწორედ ამიტომ შეიქმნა ეს „სამთა კავშირი“ და საქართველოს მხარეც უკვე მთელი სერიოზულობით ცდილობს მალე დაარწმუნოს ნებისმიერი მძღოლი, — ქართველიც და უცხოელიც, რომ:

ის ძალიან ხშირად, ცამდე მართალია და, რადგანაც არ იცის როგორ იმოქმედოს, ტყუილუბრალოდ იშლის ნერვებს და იცარიელებს ჯიბეს.

წლების განმავლობაში მოუგვარებელი ამ პრობლემების გადაჭრაში ეფექტიანად დაგეხმარებათ ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია — „პოლიციელი, მძღოლი, სამართალი“, რომელიც შუალედური რგოლის ფუნქციას შეასრულებს მძღოლსა და პოლიციელს შორის. ორგანიზაციის მიზანია გააერთიანოს ყველა (არადა, დღეს რამდენი მძღოლი, რამდენი ტრანზიტით მოძრავი ტრანსპორტია ჩვენში), ვინც პრინციპულად არის დაინტერესებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, მოძრაობის ორგანიზაციის, მართვის კულტურის ამაღლებით.



რობერტ იანტბელიძე.

ორგანიზაცია შეეცდება, აგრეთვე, სპეციალური სამართალდამცავი ორგანიზაციების ქსელის გაძლიერებას, რომელთა საქმიანობაც მხოლოდ მძღოლთა იურიდიული უფლებების დაცვას და მათ ინფორმირებას მიეძღვნება.

უკვე დაიწყო საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა ნორმატიული აქტის პროპაგანდა მოსახლეობაში.

მართალია, ეს აქტები (მძღოლის სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებანი) ჩამოყალიბებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2002 წლის №238 ბრძანებულებაში), საკმაოდ მოცულობითია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ იურიდიულად რეგისტრირებულ კავშირს „პოლიციელი, მძღოლი, სამართალი“ და უფასოდ ამომწურავი ინფორმაცია მიიღოთ. საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციის წარმომადგენელი მობრძანდება თქვენს დასახმარებლად ან თქვენ მიბრძანდებით მითითებულ ოფისში და ნებისმიერ საჩივარს წარადგენთ (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №16).

ერთი „წვრილმანი“ მაგალითი: თუ მძღოლი თავს არიდებს სიმთვრალის ან ფსიქოტოქსიკურ შემოწმებას, ჯარიმდება მაქსიმუმ 70-80 ლარით. რა თქმა უნდა, მძღოლი თუ ძალიან მთვრალია, ეკრძალება მანქანის მართვა ერთი-ორი წლით. მაგრამ თუ წინა დღით 100 გრამი მაგარი სასმელი ან ერთ ლიტრამდე ღვინო გადაჰკარით და სამედიცინო დაწესებულებაში ჩაგიწერეს — ფხიზელია, ოღონდ ალკოჰოლის სუნი აქვს, სიფხიზლეში გეთვლებათ და შეგიძლიათ ავტოინსპექტორს „მადლობა“ გადაუხადოთ თქვენზე შეუნელებელი ზრუნვისთვის.

თქვენ ეს „წვრილმანები“ იცით? — არა მგონია. ამიტომაც, არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიციელი, მძღოლი, სამართალი“ ერთობ საჭირო საქმეს აკეთებს მძღოლთა უფლებების დასაცავად.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციის კოორდინატორია პრინციპული და სამართლიანი კაცი რობერტ იანტბელიძე.

რაც შეეხება ზოგად შეფასებას, სამი მომმე რესპუბლიკის მძღოლთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების გაერთიანება, აუცილებლად გამოიწვევს სატრანსპორტო ნაკადის მატებას და ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

სპარტაკ ძოზულია.

ვაიმე, ენავ!

«რა უთქვამს, რა მოუჩმახავს...»

ანუ ეკრანული ქართულის „მარგალიტები“

- **ვარდების** რევოლუცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში (რუსულის გავლენით აღებული უხეირო გამოთქმა, მაგალითად, имело место... სხვა საქმეა, ვთქვათ „ადგილი ჰქონდა წყნეთში“ — მიწის ნაკვეთის გაგებით; ჩვენ შემთხვევაში შეიძლებოდა გვეთქვა „რევოლუცია, რომელიც მოხდა საქართველოში“, ან „საქართველოში მომხდარი რევოლუცია“).
- გააკეთებს თუ არა მიმართვას ადამიანების მიმართ (ეს ხომ მარტივად ითქმის — „მიმართავს თუ არა ხალხს“, ან „მიმართავს თუ არა ადამიანებს“).
- მე უზარმაზარი შეურაცხყოფები მომაყენეს (ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ფრაზა ფილოლოგ პროფესორს ეკუთვნის; „შეურაცხყოფას“, რუსულისაგან განსხვავებით — оскорбления — მრავლობითი არა აქვს; მეორეც, არც „უზარმაზარი შეურაცხყოფა“ ივარგებდა: „დიდი შეურაცხყოფა“ სავსებით „საკმარისია“...).
- მე ვიწონებ თვისობრივად მის ნაბიჯებს (იმავე ფილოლოგი პროფესორის „მარგალიტია“; გარდა იმისა, რომ „თვისებრივი“ უნდა იყოს, არც მთელი წინადადებაა აზრობრივად გამართული).

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

შვილი სულხანი, რძალი მარინა, შვილიშვილები გვანცა, ანა, დიანა, შოთა, ლევან გონაძეები, დისწულები, ძმისწულები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა აპოლონის ძე გონაძე

პანაშვიდი 12, 13, II, გამოსვენება 14, II, 2 სთ. მისამართი: ამბროლაურის რ-ნი, სოფ. სხვავა.

ზაურ გონაძე და ია მდივნიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბიძაშვილის

შოთა აპოლონის ძე გონაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სულიკო დვალაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ელიკო ჭუმბურიძე, შვილები ერეკლე, თორნიკე გაფრინდაშვილები, რძალი ნატო ჭიოკაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ ვიქტორის ძე გაფრინდაშვილი

პანაშვიდი 12, 13, II, 3 სთ. ქალაქ ყვარელში, დადიანის №17. გამოსვენება 14, II, 12 სთ. დაკრძალვა 14, II, 2 სთ. სოფ. ბალღოჯიანში.

გურამ თეთრაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს გოჩა წიკლაურს მამის

გივი წიკლაურის

გარდაცვალების გამო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი იუწყება სამეცნიერო ნაწილის ღვაწლმოსილი თანამშრომლის

ლუდა სართანიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გიორგი, ლენა მასხარაშვილები, თათული, თენგიზ ღვინიაშვილები, დათო, ნინო, მია, ბუბა შვილებით, შვილიშვილებით, და გულიკო სართანია, ძმა ოთარ სართანია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლუდმილა გიორგის ასული სართანია

პანაშვიდი 12, 13, II, 4 სთ. გამოსვენება 14, II, 2 სთ. დადიანის 14 (მერიასთან).

წინასწარი პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონთა დაცვაზე ზედამხედველობის თბილისის პროკურატურის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სურენ ბარიგიანს დედის

ვარსენიკ ვართკეზის ასულ ბარიგიანის

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), სპარტაკ ძოზულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.